პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

5 აპრილი ხუთშაბათი 1973 ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 80 (15597)

ხუთწლედი — ვადამდე!

მწყობრშია ახალი ფაბრიკა

მწყობრში ჩადგა ტრესტ „ჭიათურმარგანეცის“ მჩატეფორიანი მარგანეცის გამამდიდრებელი ფაბრიკა. აქამდე მარგანეცის ღარიბ მადანს არ იყენებდნენ. ახლა კი ასეთი მადანი ახალ გამამდიდრებელ ფაბრიკაში იგზავნება და მისგან მარგანეცის კონცენტრატები მზადდება.

ახალი საწარმო უაბლოესი მოწყობილობით არის აღჭურვილი. აქ პირველად გამოიყენეს საჰაერო ლიფტები, სწორედ მათი მეშვეობით, ჰაერის წნევით გადადის მადანი ფაბრიკაში.

ახალი გამამდიდრებელი ფაბრიკა ყოველწლიურად 304 ათას ტონა მარგანეცს გამოუშვებს.

სურათებზე: ქვემოთ — მჩატეფორიანი მარგანეცის გამამდიდრებელი ფაბრიკის საჰაერო ლიფტი; ზემოთ — ცვლის უფროსი ანზორ ჩაპიძე (მარჯვნივ) და მექანიკოსი მიხეილ ტყემალაძე.

ა. მაჭავარიანის ფოტო. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).



მეცხოველეთა საღღეისო საზრუნავი

ცოფლის მეურნეობაში არ არის მეცხოველეობაზე უფრო შრომატევადი და რთული დარგი. ამ დარგში დასაქმებული ადამიანს მთელი წლის განმავლობაში აქვს საზრუნავი. მოუაროს დიდ ჯოგს, განუხრელად გაზარდოს მისი პროდუქტიულობა და რენტაბელობა — იოლი საქმე როდია. იგი საზოგადოებრივ მეურნეობათა ხელმძღვანელებისაგან მოითხოვს მიწის სავარგულების ეკონომიურად, გონივრულად გამოყენებას, ზოოტექნიკური საკვებტერიტორიის მეცნიერების რეკომენდაციათა ზუსტად დაცვას, მოწინავე გამოცდილების მტკიცედ დანერგვას წარმოებაში.

მიმდინარე წლის 17-18 მარტს სოციალისტური შეჯიბრების მიმდინარეობის შემოწმებისა და ვალდებულებათა შესრულების უზრუნველყოფის მიზნით მოეწყო კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მეცხოველეობის ფერმების რესპუბლიკური დათვალიერება.

მეცხოველეობის ფერმების რესპუბლიკურმა დათვალიერებამ, რომელშიც მონაწილეობდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრები და წევრობის კანდიდატები, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, მინისტრთა საბჭოს, შარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანოების ხელმძღვანელი მუშაკები, სოფლის მეურნეობის სპეციალისტები, მეცნიერების, ლიტერატურის, ხელოვნების მოღვაწეები, ცხადყო მისი მიზანდასახულობა. დათვალიერებამ გამოიწვია ფერმების მუშაკთა ახალი შრომითი ენთუზიაზმი, დარაზმა ისინი ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებისათვის.

ცნობები, რომლებიც რედაქციაში მოდის, მოწმობენ, რომ სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებაში პირველ წარმატებებს მიადწიეს წითელწყაროს რაიონის მშრომელებმა, მათ ხუთწლედის მესამე წლის ორ თვეში შარშანდელ პერიოდთან შედარებით თვითეულ საფურაუე ძროხაზე მიიღეს 72 კილოგრამით მეტი რძე. თავი გამოიჩინეს ზემო მაჩხაანისა და გამარჯვების კოლმეურნეობებმა. კარგად მუშაობენ და შარშანდელთან შედარებით მნიშვნელოვნად გაზარდეს მეცხოველეობის პროდუქტების წარმოება სიღნაღის რაიონის ტიბაანისა და ბოდბისხევის კოლმეურნეობებმა, გორის რაიონის ტყვიავის საკოლმეურნეობათაშორისო სარძეო-სასაქონლო ფერმებმა, გაგრის, ბრეთის საბჭოთა მეურნეობების ფერმებმა და სხვ.

ამასთან გამოვლინდა ფორმალიზმი სოციალისტურ შეჯიბრებაში. ზოგან არ ხორციელდება ორგანიზაციული მუშაობა. ფართოდ არ ინერგება მეცნიერების მიღწევები და მოწინავე გამოცდილება. მაგალითად, როცა სამეურნეო წელი დაიწყო, ბოლდანოვკის რაიონის მშრომელებმა ვალდებულება იკისრეს უფრო მეტი ეფექტიანად მეცხოველეობის პროდუქტები, მეცხოველეობის ფერმების რესპუბლიკური დათვალიერების დღეს შეხვედრობდნენ სასახელო მაჩვენებლებით.

შეარსულეს კი სიტყვა: არა! ბოდბანოვკელებმა სიტყვა ქარს გაატანეს. შარშანდელთან შედარებით მარტო ორ თვეში თვითეულ საფურაუე ძროხაზე წველადობა 28 კილოგრამით შეამცირეს, წველადობა შეამცირეს აგრეთვე ახალქალაქის, ნალკის, ბოგდანოვკის, ქედის, ხელვაჩაურის, გეგეჭკორის, ლეტენისა და სხვა რაიონებმა.

რესპუბლიკის ბევრი კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობის ხელმძღვანელები ჯეროვან ელმძღვანელობას ვერ უწევენ მეცხოველეობას. სწორედ ამის შედეგია, რომ ჩოხატაურის, წალენჯიხის, ახალქალაქის, ბოგდანოვკის რაიონებში იკლო მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების დონემ. შემცირდა მსხვილფეხა ქონანი პირუტყვის სულადობა ზესტაფონის, კასპის, წალკის და სხვა რაიონებში.

ნაცვლად ამისა, რომ ხუთწლედის მესამე დამკვრელურ, გადამწყვეტ წელს, ეიღოთ სწრაფი ტემპი, დასახელებულმა რაიონებმა დაუშვეს რძის ნაწველისა და მეცხოველეობის სხვა პროდუქტების წარმოების შემცირება.

მეცხრე ხუთწლედის მესამე წლის პირველი და მეორე თვე ფუდად დაიწყეს აჭარის ასრ რესპუბლიკის მშრომელებმა. მათ ორ თვეში ნახელმწიფოსათვის ხორცის მიეყიდვის გეგმა შეასრულეს მხოლოდ 38 პროცენტით. ასევე ხორცის დამზადების გეგმაში ნახარბილო მდგომარეობა არ არის ჩოხატაურის, ქარელის, ლენტეხის, ცაგერის, გურჯაანის, კასპის და სხვა რაიონებში.

ეს იმის შედეგია, რომ დასახელებული რაიონების პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციებმა, მათი ხელმძღვანელები ჯერ კიდევ ზოგადად ხელმძღვანელობენ მეცხოველეობას — ამ დამკვრელურ უბანს. გვახსოვდეს, რომ წარმატება მხოლოდ ზუსტად მოწყობილი, კარგად მოგვარებული სოციალისტური შეჯიბრების საფუძველზე შეიძლება. ეს კი ნიშნავს თანმიმდევრულად შევასრულოთ ვ. ი. ლენინის მიერ შემუშავებული პრინციპები/ სოციალისტური შეჯიბრებისა. როგორია ეს პრინციპები? ეს არის შეჯიბრების საჯაროობა, ეს არის შედეგების შესადარობა, ეს არის მოწინავე გამოცდილების გამეორების შესაძლებლობა და, ბოლოს — ეს არის სოციალისტურ საწარმოთა მშრომელების ამხანაგური ურთიერთდახმარება, ურთიერთდახმარება შრომაში.

ეს ოთხი პრინციპი სოციალისტური შეჯიბრების საფუძველია. ამ პრინციპების მტკიცედ შესრულება — ნიშნავს მივაღწიოთ შეჯიბრების ეფექტიანობას, მის ქმედითობას, ნიშნავს ჩავბეთ მასში თვითეული მშრომელი, მივწვდეთ მისი თვითეული მონაწილის გულს.

წარმატებას მხოლოდ მაშინ მივაღწევთ, როცა ვალდებულებათა შესრულებას სისტემატურ კონტროლს უწევენ პარტიის რაიკომი, პირველადი პარტიული ორგანიზაციები, განამტკიცებენ კოლექტივების ვალდებულებებს ფართო ორგანიზაციაზე და მასობრივ-პოლიტიკური მუშაობით. მეცხოველეთა მეცადინეობა უნდა წარვმართოთ იმისათვის, რომ გადაწყვეტონ მთავარი ამოცანა — გაზარდონ პირუტყვის სულადობა და გაადიდონ მისი პროდუქტიულობა. სოფლის კომუნისტები მოწოდებული არიან კიდევ უფრო აამაღლონ შეჯიბრების როლი და მნიშვნელობა, პირადი მაგალითით, შრომაში გაიყოლიონ ყველა მეცხოველე.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მიმდინარე წლის თებერვლის პლენუმზე აღინიშნა, რომ შარშან რესპუბლიკაში ვერ შესრულდა ძროხისა და მოკვეცულის სულადობის გადიდების გეგმები. ძალზე ჩამორჩა საშუალო-საკავშირო მაჩვენებლებს მეცხოველეობა.

პლენუმმა მეცხოველეთა ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ დროა შესაბამისი დასკვნები გამოვიტანოთ კრიტიკული შენიშვნებიდან, რომლებიც საქართველოს სოფლის მეურნეობის მომართ გამოითქვა სკკპ XXIV ყრილობაზე და სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე, სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაციის შესახებ ლაპარაკიდან გადავიდეთ საქმეზე, მიწათმოქმედებასა და მეცხოველეობაში ინდუსტრიული მეთოდების დანერგვაზე.

მეცხოველობის დარგის მუშაკთა შრომითი და პოლიტიკური აქტივობის ახალ აღმავლობას, სოფლად სოციალისტური შეჯიბრების შემდგომ განვითარებას ხელს უწყობს მორალური და მატერიალური წახალისების დიდმნიშვნელოვანი ღონისძიებანი, რომლებიც წელს ფართოდ ხორციელდება.

შეჯიბრებაში გამარჯვებულთათვის დაწესებულია წითელი დროშები, პრემიები, სპატიო სიგელები. ის მოწინავენი, რომლებიც შრომით მამაცობის ნიმუშებს უჩვენებენ 1972 წლის მეოთხე კვარტალისა და 1973 წლის პირველი ნახევრის გეგმებისა და ვალდებულებების შესრულებაში, დაჯილდოვდებიან სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით.

ჩვენი რესპუბლიკის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში. გაჩაღდა დიდი ლაშქრობა მეცხრე ხუთწლედის მესამე წლის დავალებათა შესრულებისათვის.

დამთავრდა პირველი კვარტალი. სოფლის პარტიული ორგანიზაციები, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოები ვალდებული არიან დასახონ კონკრეტული ღონისძიებანი, სწრაფად გამოასწორონ ნაკლოვანებანი შუშაობაში, ყოველმხრივ დაეხმარონ სოფლის მეურნეობის მუშაკებს ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებაში, მოიპოვონ წარმატება მეცხოველეობის პროდუქტების ხიუნვის შექმნაში.

ტყვეობიდან ტყვეობიდან — შაროვან ტყვეობაში!

უპატაკეგენ მშენებლები

ბაშენოთ სწრაფად, იაფად და მაღალხარისხოვნად — ამ დევიზით ფართოდ გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება მთავართბილმშენის მე-14 ტრესტის სამშენებლო სამმართველოებში. კარგად მოწყობილმა შრომის ორგანიზაციამ, მშენებლობის მოწინავე მეთოდების ფართოდ გავრცელებამ დადებითი შედეგი მოგვიტანა. ტრესტს პირველ კვარტალში გეგმით საკაძსლოატაციოდ უნდა გადაეცა 70.300 კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი; უაქტიურად თბილისელ მშრომელებს ჩაბარებულ 89.700 კვადრატული მეტრ საცხოვრებელი ფართობი და კვარტალის გეგმა 127,5 პროცენტით შეასრულეს. გადაჭარბებით გავანადგეთ განსაჯარო სამუშაოების გეგმაც. შესრულებულია 7.787 ათასი მანეთის სამუშაოები, გეგმა კი 7.460 ათას მანეთს ითვალისწინებდა.

განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი, გეგმები დიდი გადაჭარბებით შესრულეს და მნიშვნელოვნად გაუმჯობესეს მშენებლობის ხარისხი იმ სამშენებლო სამმართველოებმა, რომლებსაც ე. დამენია, ნ. ხარაბაძე, ნ. სიხარულიძე და ე. ტიმოფენკო ხელმძღვანელობენ.

სამშენებლო მოედნებზე შეჯიბრება ახალი ძალით ჩაღდება, რათა ასევე დიდი გადაჭარბებით გავანადგოთ წლის პირველი ნახევრის დავალებაც.

ამჟამად სწრაფი ტემპით მიმდინარეობს სამუშაოები 23 მრავალსართულიან კორპუსსე, რომელთა საერთო ფართობი 67.177 კვადრატულ მეტრს უდრის. წინასწარი გაანგარიშებით აღნიშნულ კორპუსებს ვადამდე ჩავაბარებთ საექსპლოატაციოდ, რაც იმის სრულ გარანტიას იძლევა, რომ თბილისელ მშრომელებს ნახევარი წლის გეგმის გადამეტებით გადავცემთ რამდენიმე ათას კვადრატულ მეტრ საცხოვრებელ ფართობს.

ნაყოფიერად იშრომეს № 1 რკინაბეტონის ნაკეთობათა კომბინატისა (დირექტორი რ. თუთაშვილი) და № 2 სამრეწველო-საწარმოო კომბინატის (დირექტორი ჯ. ქორიძე) კოლექტივებმა. პროდუქციის რეალიზაციის გეგმა შესრულებულია 106,4 პროცენტით, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 1 მილიონ 830 ათასი მანეთისა გამოშვებულია 1 მილიონ 950 ათასი მანეთის პროდუქცია.

ეს რეადაქციას აცნობეს მე-14 სამშენებლო ტრესტის მმართველმა გ. კვიპიანმ და პარტიული კომიტეტის მდივანმა გ. ნეჩელაშვილმა.

მეტალურგები დაწინაურდნენ

ზესტაფონი. (საკ. კორ.). სამ ათეულ წელზე მეტია ეჯიბრებიან ერთმანეთს ზაპოროჟეელი და ზესტაფონელი მეტალურგები. მათი შეჯიბრება განსაკუთრებით ცხოველი გახდა მეცხრე ხუთწლედის მესამე გადაწყვეტ წელს. როცა ორი ძოძმე რესპუბლიკის ფირომდნობელები სიერთო წარმატებას აღწევენ, რიტმულად, რენტაბელურად შრომობენ.

ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის კოლექტივმა, რომელიც გამოჩენილი ქართველი მეცნიერის ვ. ნ. ნიკოლაძის სახელს ატარებს, ვადამდე შეასრულა მეცხრე ხუთწლედის მესამე გადამწყვეტი წლის პირველი კვარტალის დავალება.

ალსანიშნავია, რომ პირველი კვარტალის გეგმა გადაჭარბებით შეასრულა ოთხივე წამყვანი სამეროოა „კოლექტივმა, რომლებსაც ინჟინერი მეტალურგები ნ. ჯაფარიძე, ა. ბოჭორიშვილი, დ. ბოგვერაძე და ს. ლეკვეიშვილი უძღვებიან.

მეტალურგები მომჭირნეობითაც გამოირჩევიან. მათ წელს დაზოგეს ხუთ მილიონზე მეტი კილოვატ-საათი ელექტროენერგია, ათასი ტონა მარგანეცი, ორასი ტონა ქოქსი.

☐ მთავართბილმშენის მე-14 ტრესტის სამშენებლო სამმართველოებმა პირველ კვარტალში ათვისეს და საექსპლოატაციოდ გადასცეს 89.700 კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი და მეგეგა 127,5 პროცენტით შეასრულეს.

☐ ზესტაფონელმა მეტალურგებმა ვადამდე შეასრულეს პირველი კვარტალის გეგმა და საჭიროებს ტონაზე მეტი ფეროშენადნობი გაუგზავნეს.

იკისრეს და შეასრულეს...

მანქანა-ტრაქტორთა პარკის რესპუბლიკური დათვალიერების (14 აპრილი) წინა დღეებში „საქსოფლტექნიკის“ მცხეთის რაიონულმა განყოფილებამ ახალი წარმატება მოიპოვა, სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულების შესრულება უმატა ეს საამშობლოს — პირველი კვარტალის დავალება წარმოების ყველა დარგში გადაჭარბებით შესრულა.

მიმდინარე წლის 29 მარტისათვის სარემონტო სამუშაოთა პირველი კვარტალის გეგმა შესრულებულია 109,7 პროცენტით, მეცხოველეობის ფერმებში შრომატევად სამუშაოთა მექანიზაციისა — 112,5 პროცენტით, სატრაქტორო სამუშაოებისა — 102 პროცენტით, ტრაქტორებისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანების ტექნიკური მომსახურებისა — 109 პროცენტით.

აქაურმა მექანიზატორებმა გადაჭარბებით შეასრულეს ავტომობილების ტექნიკური მომსახურების, ტრაქტორების, ავტომობილებისა და კვანძების შეკეთების გეგმები. მცხეთელებმა შრომითი ალმავლობით დაიწყეს მეორე კვარტალის პირველი დღეები. გაჩაღებულია საგაზაფხულო სამუშაოები და პირობას იძლევიან შემდგომშიც არ შეანელონ მეცხრე ხუთწლედის მესამე გადამწყვეტი წლის დავალებათა გადაჭარბებით შესრულებისათვის აღებული ტემპი. ეს „კომუნისტის“ რედაქციას აცნობეს „საქსოფლტექნიკის“ მცხეთის განყოფილების მმართველმა რ. ცინცაძემ, პარტბიუროს მდივანმა თ. ხუბაშვილმა და ადგილკომის თავმჯდომარემ ჟ. კაკაძემ.

თბილისი

ადაზე ადრე შეასრულა ხუთწლედის მესამე, გადამწყვეტი წლის პირველი კვარტალის დავალება და სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულებები, თბილისის ი. სტალინის სახელობის ელექტროსაგონშემკეთებელი ქარხნის კოლექტივმა. ელექტროსაგონშემკეთებლებმა 338 ათასი მანეთის ზეგეგმით პროდუქცია გამოუშვეს. კვარტალის შედეგებით საქარხნო სოციალისტურ შეჯიბრებას სათავეში უდგანან ელექტროსამანქანო, სამეგედლო და საურიკე სამაქროები, რომლებსაც ა. ერაძე, დ. ჭიქია და ა. ბატონისაშვილი ხელმძღვანელობენ.

„კომუნისტის“ კორ.

ტყიბული

ლენინის სახელობის შახტის მოწინავე კოლექტივმა კიდევ ერთი ახალი გამარჯვება მოიპოვა სოციალისტურ შეჯიბრებაში, 27 მარტს ვადაზე ოთხი დღით ადრე უპატაკა სათბობის მოპოვების პირველი კვარტალის სახელმწიფო გეგმის შესრულება. მარტის უკანასკნელ დღეს შახტის ბუნკერიდან გავიდა ზეგეგმითი სათბობით დატვირთული ოცდამეოთხე ეშელონი. წლის დასაწყისიდან შრომით ვახტს სასახელოდ ეწევა და აღებულ ტემპს არ ანელებს ქვანახშირის გამამდიდრებელი ფაბრიკის კოლექტივი, რომელსაც ინჟინერი ი. გოგბერაშვილი უდგას სათავეში. (საპ. კორ.).

ახალციხე

რაიონის ადგილობრივი მრეწველობის კომბინატის კოლექტივი წარმატებით იერთვის მეცხრე ხუთწლედის მესამე წლის დავალებათა შესრულებისათვის. კოლექტივმა ვადაზე ერთი კვირით ადრე გადაჭარბებით გაახორციელა პირველი კვარტალის დავალება. 25 მარტისათვის გამოუშვა 70 ათასი მანეთის საერთო პროდუქცია ნაცვლად კვარტალის გეგმით გათვალისწინებული 68,1 ათასი მანეთისა, ხოლო რეალიზაციის დავალება 106 პროცენტით შეასრულა. გეგმის გადამეტებით გამოშვებულია 67 ტონა სამშენებლო თაბაშირი, 6.800 დეკალიტრი ლუდი და 2.260 დეკალიტრი ხილის წყლები. კომბინატის კოლექტივი მონდომებით ემზადება კომუნისტური შაბათობისათვის. (საპ. კორ.).

ნ. ვ. პოდგორნი ჰელსინკში

ჰელსინკი. 3 აპრილი. (საკადესი). ღღეს აქ პრეზიდენტის სასახლეში დაიწყო მოლაპარაკება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ნ. ვ. პოდგორნისა და ფინეთის რესპუბლიკის პრეზიდენტ უ. კ. კეკონენს შორის.

მოლაპარაკების დროს, რომელიც გულთბილ, მეგობრულ ვითარებაში მიმდინარეობდა, ნ. ვ. პოდგორნიმ და უ. კ. კეკონენმა დიდი კმაყოფილებით აღნიშნეს, რომ წარმატებით ხორციელდება საბჭოთა კავშირ-ფინეთის ხელშეკრულება, რომელიც, როგორც მისი მოქმედების ხანგრძლივმა პერიოდმა გვიჩვენა, ძალიან და ყოფიერი საფუძველია საბჭოთა და ფინელი ხალხების მეგობრობის და სსრ კავშირისა და ფინეთის თანაშრომლობისა როგორც მათი ორმხრივი ეკონომიური ურთიერთობის განვითარების, ისე მათი ერთობლივი ღონისძიებების დარგში საერთაშორისო ასპარეზზე მშვიდობის განმტკიცების ინტერესებისათვის. მხარეებმა განიხილეს საბჭოთა კავშირ-ფინეთის ურთიერთობის განვითარების ახლანდელი მდგომარეობა და შემდგომი პერსპექტივები, აგრეთვე აქტუალური საერთაშორისო პრობლემები, უწინარეს ყოვლისა ევროპის უშიშროების გაძლიერებას ეხება.

მოლაპარაკება გაგრძელდება.

ჰელსინკი, 4 აპრილი. (საკადესი). ღღეს პრეზიდენტის სასახლეში მოლაპარაკება განაგრძეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ნ. ვ. პოდგორნიმ და ფინეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა უ. კ. კეკონენმა. მოლაპარაკების დროს გაიმართა მეგობრული და საქმიანი აზრთა გაზიარება ორივე მხარისათვის საინტერესო საკითხებზე.

„საერთაშორისო წიგნი“ 50 წლისაა

სრულიად საკავშირო გაერთიანება „საერთაშორისო წიგნს“ 50 წელი შეუსრულდა. ამ თარიღთან დაკავშირებით ჟურნალისტთა ცენტრალურ სახლში გაიმართა პრეს-კონფერენცია.

ამჟამად გაერთიანება უცხოელ მკითხველებს სთავაზობს 2 ათასადგილ სახელწოდების გაზეთსა და ჟურნალს 38 ენაზე, რომლებსაც კითხულობენ 120 ქვეყანაში, „საერთაშორისო წიგნი“ სასდვარგარეთ ავრცელებს წიგნებს, ალბომებს, გრამფირფიტებს, დიაფილმებს, საფოსტო მარკებსა და სხვა პროდუქციას, ყიდულობს სხვა ქვეყნებში წიგნებს, პერიოდულ გამოცემებს, გრამფირფიტებს.

ჟურნალისტთა ცენტრალურ სახლში მოწყობილია იმ საბჭოთა გამომცემლობების ნაბეჭდი პროდუქციის ნიმუშების გამოფენა, რომლებიც თანამშრომლობენ „საერთაშორისო წიგნთან“. (საკდესი).

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ამხ. ზ. ნ. ნურიევის სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ დანიშვნის შესახებ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

დანიშნოს ამხ. ზია ხურის-ეე ნურიევი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ და განთავისუფლდეს იგი სსრ კავშირის დამზადების მინისტრის მოვალეობისაგან.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ნ. პოდგორნი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
მ. გიორგაძე.

 მოსკოვი, კრემლი. 1973 წ. 3 აპრილი.

საკადესის ცნობა

მიფრინავს „სალუტ-2“ ორბიტული სადგური

კოსმოსური სივრცის კვლევის პროგრამის შესაბამისად 1973 წლის 3 აპრილს საბჭოთა კავშირში გაუშვეს „სალუტ-2“ ორბიტული სამეცნიერო სადგური.

„სალუტ-2“ სადგურის გაშვების მიზანია დასვენოს გაუმჯობესებული კონსტრუქციები, საბორტო სისტემები, აპარატურა და განახორციელოს მეცხრერულ-ტექნიკური კვლევა და ექსპერიმენტები კოსმოსური ფრენის დროს.

„სალუტ-2“ სადგური გაყვანილია დედამიწისირგვლივ ორბიტაზე, რომლის პარამეტრებია:

— მაქსიმალური მანძილი დედამიწის ზედაპირიდან (აპოგეი) — 260 კილომეტრი,

— მინიმალური მანძილი დედამიწის ზედაპირიდან (პერიგეი) — 215 კილომეტრი;

— მიმოქცევის პერიოდი — 89 წუთი;

— ორბიტის დაზრილობა — 51,6 გრადუსი.

ფრენის თვალს ადევნებენ, ტელემეტრიული ინფორმაციას იღებენ და სადგურს მართავენ საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე განლაგებული საზომი პუნქტები და მსოფლიო ოკეანის ავტორიის სხვადასხვა რაიონში მყოფი სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის გემები.

საზეიმო კრება მოსკოვში

შაბშზმისაბან უნგრეთის განთავისუფლების დღეს ძიეიღვნა მოსკოვის მშრომელთა წარმომადგენლების საზეიმო კრება, რომელიც 3 აპრილს გაიმართა კავშირების სახლის ოქტომბრის დარბაზში.

ჯრება გახსნა სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის მდივანმა ნ. ა. როგოვმა. დედაქალაქის მშრომელთა სახელით იგი გულთბილად მიესალმა მოძმე ხალხის წარმომადგენლებს, მიულოცა მათ ღირსშესანიშნავი თარიღი — უნგრეთის განთავისუფლების 28 წლისთავი.

უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საზოგადოების ცენტრალური გაძეგების სახელით უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო ჯრების თავმჯდომარე, უნგრეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების თავმჯდომარე ანტალ აპრო ძხუოვალედ მიესალმა საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას, საბჭოთა ხალხს, საბჭოთა კავშირ-უნგრეთის მეგობრობის საზოგადოებას. აღენიშნავთ რა ღირსშესანიშნავ თარიღს — უნგრეთის განთავისუფლების დღეს, განაცხადა მან, დიდი პატივისცემის გრძნობით ვიგონებთ გმირ საბჭოთა ჯარისკაცებს, რომლებმაც 1944-1945 წლების გაადფრებულ ბრძოლებში უდიდესი მსხვერპლის ფასად დამოუკიდებლობა მოუტანეს ჩვენს ხალხს.

ჩვენთვის, უნგრელი კომუნისტებისათვის, სოციალიზმის მშენებელი ჩვენი ხალხისათვის, განაცხადა დასასრულ ორატორმა, საბჭოთა ხალხის ნდობა და მეგობრობა დიდი პატივია. ჩვენმა მეგობრობამ გაუძლო დროის გამოცდას. ჩვენი ურთიერთობის შემდგომი განმტკიცებაა ჩვენი პარტიის პოლიტიკის ძირითადი საკითხია. (საკდესი).

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის შემოქმედნი

ჯილდოები გადაეცათ 1972 წლის სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიის ლაურეატებს

მოსკოვის კრემლის სვეტდოვის დარბაზში 3 აპრილს ტრადიციისამებრ შეკრიბნენ, რათა დიპლომები და საპატიო ნიშნები გადაეცათ 1972 წლის სსრ კავშირის მეცნიერებისა და ტექნიკის დარგის სახელმწიფო პრემიის ლაურეატებისათვის. მეცნიერებს, სპეციალისტებს, წარმოების ნოვატორებს, რომლებმაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესში, გულითადად მიულოცა მაღალი ჯილდო სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა მ. ვ. კელდიშმა.

ლაურეატებს გულითადად მიესალმნენ საავტომობილო მრეწველობის მინისტრი ა. ა. ტარასოვი, სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი ვ. დ. ტიმაკოვი, სსრ კავშირის სამეცნიერო-ტექნიკური საზოგადოებათა სრულიად საკავშირო საბჭოს თავმჯდომარე ა. ი. იშლინსკი და სხვები. (საკდესი).



ხუთწლედს — დამკვრელური შრომა!

სახალხო მეურნეობის შემდგომი ქიმიზაციისათვის

რუსთაველ ქიმიკოსებს შეუძლიათ და კიდევაც უნდა იმუშაონ უკეთ

საქართველოს სოფლის მეურნეობის მუშაკებს პარტიამ და მთავრობამ დაუსახეს დიდმნიშვნელოვანი ამოცანა — შექმნან კვების პროდუქტების ხიუხვე. მომავალ წლებში ბევრად გაიზრდება მარცვლოვანი და ტექნიკური კულტურების, ბოსტნეულის, ხილის, შაქრის ჭარხლის, საკვების, მეცხოველეობის ძირითადი პროდუქტების: ხორცის, რძის, მატყლის და სხვა პროდუქტების წარმოება. ხიუხვისათვის გაშლილ ამ ბრძოლაში ქიმია მოწოდებულია შეასრულოს დიდმნიშვნელოვანი როლი.

ქალაქ რუსთავის ქიმიურ საწარმოთა კოლექტივები მსჯელობენ, თუ რა რეზერვები უნდა გამონახონ, რათა უზრუნველყონ სოფლის მეურნეობის პროდუქციის საამდო ზრდა. მინდვრების მოსავლიანობისა და ფერმების პროდუქტიულობის ამაღლება, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ეკონომიკის განმტკიცება. ისინი ყოველ ღონეს ხმარობენ, რათა შეასრულონ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1972 წლის დეკემბრის პლენუმის, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეცხრე პლენუმისა და ქიმიური მრეწველობის მუშაკთა აქტივის სრულიად საკავშირო თათბირის გადაწყვეტილებანი.

დღის წესრიგშია ხელახალი ტექნიკური აღჭურვა

რუსთავის ქიმიურ კომბინატს გასული წლის სახელმწიფო გეგმა არც ერთი მაჩვენებლის მიხედვით არ შეუსრულებია.

წარმოების ერთ-ერთი ვეტერანი, ამონიუმის გვარჯილის საამქროს უფროსი ბ. მეტრეველი ამბობს:

— ჩვენი კოლექტივი ისწრაფვის მიმდინარე ხუთწლედის გადამწყვეტ წელს გარდატეხა მოახდინოს მუშობაში და რაც შეიძლება სრულად დააკმაყოფილოს მიწათმოქმედთა მოთხოვნა. ეს არის ფართოდ გაშლილი სოციალისტური შეჯიბრების არსი. ჩვენ შევძელით წლის დამდეგიდან აგვეცილებინა ტემპი და ახლა ვინარჩუნებთ მას. კომბინატმა გეგმის გადამეტებით გამოუშვა ასობით ტონა პროდუქცია. პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების დახმარების, წარმოების ორგანიზაციის გაუმჯობესების, საწარმოო დისციპლინის განმტკიცების შედეგად გარკვეულწილად მივაღწიეთ ტექნოლოგიური პროცესების სტაბილიზაციას.

რიტმულ მუშაობას შინაგანის ბარდა გარეგანი მიზეზებიც აბრკოლებს. ჯერ კიდევ არ გამოიყენება ამონიუმის გვარჯილის გამოშვების ახალი ლითონის ჯოჯის სიმძლავრენი. აზოტის მრეწველობისა და ორგანული სინთეზის პროდუქტების სამეცნიერო-საკვლევი საპროექტო სახელმწიფო ინსტიტუტის სეგეროდონეცკის ფილიალს დღემდე არ დაუმუშავებია ჩვენთვის დოზირების აგრეგატის ნახაზები, აზოტის მრეწველობის სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტის ერევნისკის ფილიალს არ წარმოუდგენია ზა პროდუქციის საწყობის რეკონსტრუქციის ნახაზები და საწყობი დღემდე არ არის მექანიზებული. ეს და სხვა მსგავსი დარღვევები სასწრაფოდ უნდა აღმოიფხვრას, განსაკუთრებით. — საამქროს წლევანდელი გადიდებული გეგმის პირობებში.

ასეთი მდგომარეობა მხოლოდ ჩვენს საამქროში როდია. მაგალითად, ამიაკის სინთეზის საამქროში დაყენებულია სინთეზის მეორე მწარმოებლობის კოშკები, წყლის წმენდისა და პაერის გაყოფის საამქროში — მონტაჟებული ბლოკები. ყოველივე ეს არ გვაძლევს საათადარიგო ნაწილების ენერგიცირების საშუალებას, მათზე კი ფრიად დიდი მოთხოვნაა. გარდა ამისა, მოძველებულ მოწყობილობას სჭირდება მრავალიცხოვანი მომსახურე და შემკეთებელი პერსონალი.

საუბარში ჩაება წარმოების მეორე ვეტერანი, კაცი, რომელიც რუსთაველ დიდი ქიმიის განვითარების სათავეებთან იდგა, **სუსტი აზოტმჟავისა და ნატრიუმის გვარჯილის საამქროს უფროსი ლ. ვარდოსანიძე.**

— ჩამორჩენის ძირითადი მიზეზია ტექნოლოგიური რეჟიმის დარღვევები. ისინი გამოწვეულია ავარიებით, რომელთა შედეგად კომბინატმა გეგმის შესრულებას დააკლო 340 ათასი მანეთის პროდუქცია. ამაში „საქმოთავარენერგოს“ სამმართველოსაც მიუძღვის ბრალი. საქმე ის არის, რომ ტექნოლოგიური რეჟიმი ხშირად ირღვევა ელექტროენერგიის გამორთვის გამო.

— როგორია თქვენი წინადადება, რა უნდა გაკეთდეს? — ვეკითხებით ლ. ვარდოსანიძეს.

— ვფიქრობ, დროა კომბინატის ელექტროენერგეტიკამ იზრუნოს ელექტროენერგიის მეორე ხაზის შექმნაზე, რაც საშუალებას მოგვცემს დენის გამორთვის შემთხვევაში თავიდან ავიცილოთ ტექნოლოგიური პროცესების დარღვევები.

მას ეთანხმება **№ 2 ამიაკის სინთეზის საამქროს საკონტროლო-საზომ ხელსაწყოთა უბნის ელექტროზენკალი ვ. კორლოვი.**

— გასული წლის გეგმა ჩვენმა საამქრომ მხოლოდ 60,8 პროცენტით შეასრულა, სახელმწიფოს დააკლო ათეული ათასობით ტონა ამიაკი. მთავარი, რაც ხელს გვიშლის სტაბილურ მუშაობაში, წარმოების დაბალი კულტურაა. ამის მიზეზები მრავლადაა: სუსტი მომთხოვნელობა, ოსტატთა უპასუხისმგებლო დამოკიდებულება მუშათა კვალიფიკაციის ამაღლებისადმი, შემრეცხებლური დამოკიდებულება ტექნოლოგიის დარღვევებისადმი.

№ 1 ამიაკის სინთეზის საამქროს უფროსი ი. პროცაილო იზიარებს ლ. ვარდოსანიძისა და ვ. კორლოვის აზრს და დასძენს, რომ ცალკეული უბნებს უკვე 17 წელია უფროვენ ექსპლოატაციას, შეუკეთებლად და უმოწყალოდ ამუშავებენ. ჭარხანა „ფრალბიდრომაწარა“ კოდად ამარაგებს საწარმოს წყლის წმენდის სკრუბერების სათადარიგო ნაწილებით. არ არის საკმარისი შემკეთებელ-მექანიკური საამქროს ჩარხების პარკი.

ლაბორატორიის ქიმიური კომბინატის დირექტორი ბ. ბოგოლაძე:

— საწარმოს ვერც ერთ ეკონომიურ პრობლემას ვერ განვიხილავთ თუ მის ტექნიკურ აღჭურვას არ დავუკავშირეთ. მოწყობილობის სრულყოფა გვაძლევს მოგებას არა მარტო ხელფრთ კაპიტალურ, არამედ მომდინარე ხარჯებშიც, კვეზოგავს კაპიტალური რემონტის სახსრებს. მაგრამ წინა წლებში ხელახალი ტექნიკური აღჭურვის, ტექნოლოგიის სრულყოფის საკითხს ძალიან ცოტა ყურადღება ეთმობოდა.

გასული წლის დამლევს სერიოზულად დაისვა საკითხი — რა უნდა ეღონათ კომბინატის უსწრაფესი ხელახალი ტექნიკური აღჭურვისათვის?

ამონიუმის ბისულფიტის საამქროში ბოგორდის საწვავი ჰორიზონტალური ღუმელები შეიცვალა თანამედროვე ციკლონური ღუმელებით. მოღვრნენზებულია ბოგორდოვანი გაზის აირსაბერი. ამის შედეგად მნიშვნელოვნად გაიზარდა საამქროს სიმძლავრე.

კომბინატის თანამშრომელთა მიერ შემუშავებული ანორეს ჰიდრირების ახალი კატალიზატორის დანერგვა, სარეციფიკაციო განყოფილების რეკონსტრუქცია ზრდიან ციკლოჰექსანონის წარმოებას.

სპეციალური ცისტერნების, აგრეთვე კრისტალიზაციის განყოფილების რეკონსტრუქციამ კაპროლაქტამის საამქროში საშუალება მოგვცა გამოშვებული პროდუქციის 60 პროცენტზე მეტს ვაზავნიდეთ თხევადი სახით. ტექნოლოგიური სქემის გამარტივებასთან ერთად ამან თითქმის ერთიორად შეამცირა ხელის შრომა კაპროლაქტამის ვაგონებში ჩატვირთვისას.

მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს პროდუქციის ხარისხს და წარმოებას წელიწადში ნახევარ მილიონამდე მანეთ მოგებას მისცემს ამონიუმის სულფატის „მდოლარე შრეში“ შრობის დანადგარი. დიდ ეკონომიურ ეფექტს მოიტანს ამონიუმის გვარჯილის გაკაციგანელი ორსაფეხურიანი „მდოლარე შრის“ აპარატების დანადგარი.

ვინილბრომ ქიმიური კომბინატის მეზობელ ქიმიური ბოჭკოს ქარხანასაც. მისმა კოლექტივმა 1972 წლის პროდუქციის რეალიზაციის გეგმა 100 პროცენტით შეასრულა.

ქარხნის დირექტორი ი. ბრძელიძე ამბობს, რომ მომდინარე წლის დამდეგიდან შრომის ნაყოფიერების ზრდამ განსაზღვრა საშუალო ხელფასის მატება 0,6 პროცენტით. რაც მიღწეულია უშუალოდ საამქროთა ადგილებზე შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესების გზით.

მაგრამ კოლექტივს შეეძლო უკეთ ემუშავა. მაგალითად, ძირითადი ნედლეულის — კაპროლაქტამის გადახარჯვის გამო ქარხანამ 321 ათასი მანეთით გაადიდა პროდუქციის თვითღირებულება.

ამ ქარხანაშიც მიმდინარეობს აგრეგატების, უბნების, საამქროების რეკონსტრუქცია. მიმდინარე წელს ინერგება მოწყობილობის რემონტის ქვანძური მეთოდი.

ვასწავლოთ, აღვზარდოთ, დავეხმაროთ

რესპუბლიკაში ზოგიერთი ეკონომიური პრობლემის გადაწყვეტაში დაშვებულმა შეცდომებმა უარყოფითი გავლენა მოახდინეს რუსთავის ქიმიურ საწარმოთა მუშაობაზე. ქიმიური კომბინატისა და ქიმიური ბოჭკოს ქარხნის გამოწვეული იყო აგრეთვეც სოციალისტურ შეჯიბრებაში არსებული ფორმალიზმით. ქიმიკოსთა სასარგებლო ინიციატივას, შრომითი მეტოქეობის ახალ ფორმებს მხარს არ უჭერდნენ პარტიული, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანიზაციები, სამეურნეო ხელმძღვანელები.

აქ ხომ შრომობენ წარმოების შესანიშნავი ნოვატორები, ადამიანები, რომლებიც უსწრებენ დროს, სრულყოფენ ტექნიკას, აუმჯობესებენ ტექნოლოგიას. მათი გამოცდილება რომ ღრმად შეესწავლათ. გეგანალიზებინათ, განეზოგადებინათ და გავრცელებინათ, ქიმიის საწარმოებში საქმე გაცილებით უკეთ იქნებოდა. კომბინატსა და ქარხანაში ამაყობდნენ მოწინავეებით, ლაპარაკობდნენ, წერდნენ მათ შესახებ, ირჩევდნენ დელეგატებად სხვადასხვა წარმომადგენლობითს კრებაზე და არც შრომელთა ორგანიზაციაში, რათა გამოვავლინებინათ და კიდევ უფრო სრულად გამოეყენებინათ შრომის ნაყოფიერების ამაღლების შინაგანი რეზერვები და შესაძლებლობანი.

სპილენძ-ამიაკის საწმენდი საამქროს ზეინკალმა გ. ხოსუარაშვილმა აღნიშნა:

— წელსაც, ცალკეული კარგი მაჩვენებლების მიუხედავად, შრომის დისციპლინა კომბინატში კვლავ დაბალ დონეზე დგას. მნიშვნელოვნად უნდა გაუმჯობესდეს ყადრებთან მუშაობა. ვერ ვსწორებთ მუშის მომზადებას, სწავლებას, რომ იგი უკვე მიდის საწარმოდან. საჭიროა ყველა შემთხვევაში ჩაეწვდეთ წარმოებიდან მუშის წასვლის მიზეზებს.

ი. პროცაილო დასძინა:

— ჩვენი საამქროს გაფართოება მიმდინარეობდა საყოფაცხოვრებო შენობების, საშხაპეების, გასახდელების ხარჯზე. სპეციალი მშენებლობა ბევრად ჩამორჩებოდა სამრეწველო მშენებლობას. ადამიანები წლობით ვერ იღებენ ბინებს, ცხოვრობენ ქირაო ბინებში. სწორედ ამიტომ ბევრი იძულებულია წავიდეს საწარმოდან.

ე. ოჩიაური, ქიმიური ბოჭკოს ქარხნის ხაძახავი საამქროს მძახავი:

— ჩვენს ქარხანაში უმრავლესობას ქალები შეადგენენ. მაგრამ ქარხანას არა აქვს სბავშვო ბაღი, ბაგა, საქალაქო პოლიკლინიკა. არ გაჩენია აგრეთვე თაეიანი საკუთარი სპორტული ბაზა, მოგზაურთა თითქმის 80 პროცენტი კი ახალგაზრდობაა.

ა. ბურგენიძე, ამიაკის წარმოების პარტიბიუროს მდივანი:

— წარსულ ჩვენს წარმოებაში მეიღეს 394 კაცი, საწარმოდან წავიდა კი 487 კაცი. ძირითადად მიდიან ახალგაზრდა მუშები, რომელთაც ორ წელზე ნაკლები სტაჟი აქვთ. ეს, ფაქტი ბევრს ამცნობ, რომ საამქროთა ხელმძღვანელები და პარტორგანიზაციათა მდივნები, საამქრო კომიტეტთა თავმჯდომარეები და კომკავშირულ ორგანიზაციათა მდივნები ჯეროვან ყურადღებას არ უთმობენენ ახალგაზრდობის აღზრდის, მინდობილი საქმისადმი პასუხისმგებლობის გრძნობის ამაღლების საკითხს.

ქიმიური კომბინატის პროფკომიტეტის თავმჯდომარე ხ. ავდესელავა:

— საერთო საკუნარებლებში სიმყუდროვე და წესრიგი არ არის. ცოდად მუშობენ საზოგადოებრივი კვების ობიექტები, სადაც უწესიერო სანტექნიკური და ენერგეტიკული კომუნიკაციებია, შეთხრებით აწყვიან ცხელ და ცივ წყალს. ამაში ჩვენ, პროფკავშირულ მუშაკებსაც მიგვიძღვის ბრალი.

მაგრამ როცა ვეცნობოდით საქმის ვითარებას ადგილზე, გამოირკვა, რომ ყველა საჭიბოროტო საკითხის გადაწყვეტა როდი შეუძლიათ ქიმიური კომბინატისა და ქიმიური ბოჭკოს ქარხნის სამეურნეო ხელმძღვანელებს, პარტიულ, პროფკავშირულ მუშაკებს. მაგალითად, ქიმკოსთა სამართლიან საყვედურს იწვევს საკაჩრო ქსელის, ავტობუსისა და ტროლეიბუსის პარკების, საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოების ცუდი მუშაობა. მათი საქმიანობით სერიოზულად უნდა დაინტერესდნენ საქალაქო პარტიული ორგანიზაცია, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭო.

შეჯიბრება წარმატებითი მუშაობის საწინდარია

სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკა ცენტრალური კომიტეტის დადგენილებამ, სრულიად საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების გაშლის შესახებ ზუსტად განსაზღვრა, თუ რას უნდა მიაპყრონ ძირითადი ყურადღება ქიმიური და ნავთობქიმიური საწარმოების კოლექტივებმა.

გასულ წლებში რუსთაველის დიდი ქიმიის საწარმოებში ეს ამოცანები სრულად არ წყდებოდა. ეს



სურათებზე: ზემოთ — რუსთავის ქიმიური კომბინატის ამიაკის წარმოება; ქვემოთ — რუსთავის სინთეზური ბოჭკოს ქარხნის საქსოვი საამქრო.

(საქინფორმის ფოტოქრონიკა).

..კომუნისტის“ სიგნალის შემდეგ

გაგა მარტო დაპირებებს ვერ ...

რედაქციას შეატყობინეს ...ის ... რაიკომის პირველი მდივანი მ. ბიბილაშვილი.

„კომუნისტში“ დაბეჭდა მკითხველის კ. ჭელიძის წერილი, რომელშიც მხილებული იყო სოფელ ბაჯის კეთილმოწყობილობის ფაქტები.

ამ წერილთან დაკავშირებით საქართველოს კპ ამბროლაურის ოკაკომის პირველმა მდივანმა მ. ბიბილაშვილმა რედაქციის აცნობა, რომ წერილში აღნიშნული ფაქტები შემოწმებით დადასტურდა.

სოფელ ბაჯის ჭელიძეების უბნის მცხოვრებლებს არ ჰქონდათ წყლის კეთილმოწყობილი გაყვანილობა. შეკეთებას საჭიროებდა საუბნო ბაგა-გასული წელს დაიწყო წყალგაყვანილობის კეთილმოწყობისა და გზის შეკეთების სამუშაოები. გზა უკვე შეკეთებულია, ხოლო წყლის აუზს აკლია ცემენტის ხახურავი, რაც უახლოეს ხანში გაკეთდება.

წერილი არ დაბეჭდილა მაგრამ...

დამნაშავენი დაისაჯნენ

ტყიბულიდან „კომუნისტის“ რედაქციამ და რესპუბლიკის ზემდგომმა ორგანოებმა მიიღეს მამხილებელი წერილები, რომლებიც ეხებოდა სოფელ საწირის კოლმეურნეობის თავმჯდომარის დ. ქათამაძის და სხვა ხელმძღვანელი მუშაკთა დანაშაულობებს. საჩივრებში მოყვანილი ფაქტები შეამოწმეს პარტიის ტყიბულის საქალაქო კომიტეტის, სახალხო კონტროლის ტყიბულის საქალაქო კომიტეტის, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და გაზეთ „კომუნისტის“ წარმომადგენლებმა.

დადასტურდა საკოლმეურნეო წესდების მთელი რიგი დარღვევები. შემოწმების შედეგები განიხილა საქართველოს კპ ტყიბულის საქალაქო კომიტეტის ბიურომ.

სოფელ საწირის კოლმეურნეობის თავმჯდომარეს დ. ქათამაძეს მიეთითა: საბალანსო ფონდირებული სამშენებლო მასალების გაუიდვის, საკოლმეურნეო ტყეების დაცვისა და საბუღალტრო აღრიცხვის საქმეში დარღვევებისა და ნაკლოვანებებისათვის საქალაქო კომიტეტის ბიუროს გამოუცხადა სასტიკი საყვედური საალრიცხვო ბარათში შეტანით. ასევე საყვედური გამოუცხადა საალრიცხვო ბარათში შეტანით კოლმეურნეობის მთავარ ბუღალტერს დ. ცირეკიძეს.

საწირის სასოფლო საბჭოს მუშაობისადმი სათანადო ხელმძღვანელობის განუხორციელებლობისათვის, საკოლმეურნეო წესდების მოთხოვნების დაცვის საქმისადმი ღონისძიებების მოუღებლობისათვის, პირუტყვის აღწერის სისწორის უკონტროლობისათვის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეს ლ. ცეცხლაძეს გამოეცხადა საყვედური საალრიცხვო ბარათში შეტანით.

კოლმეურნეობის სამეურნეო-საფინანსო საქმიანობისადმი პარტიული კონტროლის განუხორციელებლობისათვის, რის გამო კოლმეურნეობის გამგეობის საქმიანობაში სერიოზული დარღვევები და ნაკლოვანებანია, კოლმეურნეობის პარტიული კომიტეტის მდივანს ო. ზარანაძეს გამოეცხადა სასტიკი საყვედური.

ბიუროს დასახა ღონისძიებანი კოლმეურნეობის მუშაობის გასაუმჯობესებლად.

სასტიკი საყვედური

რედაქციაში მიღებული კრიტიკული წერილი, რომელიც ეხებოდა ცაგერის რაიონის ნასპერნის კოლმეურნეობაში არსებულ ნაკლოვანებებს, რედაქციამ ზომების მისაღებად გადაუგზავნა პარტიის ცაგერის რაიკომს.

საქართველოს კომპარტიის ცაგერის რაიკომის ბიურომ შეისწავლა აღნიშნულ წერილში მოყვანილი ფაქტები და განხილულა ბიუროზე. ნასპერნის კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარეს რაფიელ ახვლედიანს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების გეგმების შეუსრულებლობისათვის, რამაც გამოიწვია 1972 სამეურნეო წლის ზარალით დამთავრება, და დაშვებული სხვა დარღვევებისათვის რაიკომის ბიურომ გამოუცხადა სასტიკი საყვედური საალრიცხვო ბარათში შეტანით. მდგომარეობის გამოსასწორებლად დაისახა კონკრეტული ღონისძიებანი.

საქართველოს კომპარტიის თელავის რაიკომის პლენუმი

გაიმართა საქართველოს კომპარტიის თელავის რაიკომის პლენუმი, რომელმაც განიხილა ორგანიზაციული საკითხი.

პლენუმმა ამხ. ა. გ. ბატიაშვილი გაათავისუფლა რაიკომის პირველი მდივნისა და ბიუროს წევრის მოვალეობისაგან პირადი განცხადების თანახმად სხვა სამუშაოზე გადასვლასთან დაკავშირებით.

პარტიის თელავის რაიკომის პირველ მდივნად და ბიუროს წევრად პლენუმმა აირჩია ამხ. თ. ჯაბადარი.

სხვა რაიონში სამუშაოზე გადასვლასთან დაკავშირებით პლენუმმა რაიკომის ბიუროს შემადგენლობიდან გამოიყვანა ამხ. მ. ა. მეზვრიშვილი.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობდა და სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. ზ. ა. პატარიძემ. (საქინფორმი).

მკითხველმა წერილი გამოგზავნა...

□ **რუსთავი.** რუსთავ-ქალაქს დაარსებიდან 25 წელი უსრულდება. ამ მნიშვნელოვან თარიღს შემოქმედებითად ეხმაურება ა. წერეთლის სახელობის ბიბლიოთეკა-კაბინეტი სისტემატურად ეწყობა ლექციათ-საუბრები, ლიტერატურული საღამოები თემებზე: „რუსთავი 25 წლისაა“, „ქალაქი ნაქალაქარზე“, „სახელოვანი მეტალურგები“.

ვ. ციხლაძე.

□ **ქუთაისი.** ლითოფონის ქარხანაში გაიმართა კითხვა-პასუხის საღამო. შემოსულ კითხვებზე, რომელთა უმეტესობა შრომისა და საბინაო კანონმდებლობას შეეხებოდა, ამომწურავი პასუხი გასცეს ქალაქის იურიდიული კონსულტაციის ადვოკატებმა მ. ხერხაძემ და ნ. გვენეტაძემ.

გ. თარგამაძე.

□ **შუახევი.** ოლადაურის კოლმეურნეობის კომუნისტებმა გადაწყვიტეს დახმარებოდნენ სოფლის თვითეულ მოსახლეს პატარა საოჯახო ბიბლიოთეკის მოწყობაში.

პროპაგანდისტების, პოლიტინფორმატორების, აგიტატორების, მასწავლებლებისა და სოფლის მეურნეობის სპეციალისტების ინიციატივით მოკლე დრომი რაიონის ათასამდე კოლმეურნის ოჯახის წიგნის თაროები დაამშვენა უკანასკნელ ხანებში გამოცემულმა მხატვრულმა და პოლიტიკურმა ლიტერატურამ.

გ. ჩხაიძე.

□ **ახალციხე.** სარაიონო კულტურის სახლმა მოაწყო თემატური საღამო ქალაქის ახალგაზრდობისათვის. მოხსენება „კანონი და საბჭოთა ახალგაზრდობა“ წაიკითხა რაიონის პროკურატურის გამომძიებელმა ქ. სულაბერიძემ.

სიტყვებით გამოვიდნენ რაისაბჭოს აღმასკომის თანამშრომელი ს. ორჯონიკიძე, კომკავშირული ორგანიზაციის მდივანი მ. გოგოლაძე, კულტურის სახლის სამხატვრო ხელმძღვანელი ნ. იაძე.

დასასრულ მუსიკალური სკოლის ძალებით გაიმართა კონცერტი.

რ. მაისურაძე.

□ **ადიგენი.** ნაყოფიერად მუშაობს სოფელ უდის კულტურის სახლთან არსებული ქორეოგრაფიული წრე, რომლის წევრებიც აქტიურად მონაწილეობენ აგიტმხატვრული ბრიგადის მიერ გამართულ კონცერტებში.

ამ დღეებში ქორეოგრაფიულმა წრემ და აგიტმხატვრულმა ბრიგადამ კონცერტი გამართეს კოლმეურნეობის მეცხოველეებთან.

ფ. გალახვილი.

ჯერ კიდევ ცოტა როდია ისეთი ორგანიზაცია, საწარმო, სადაც კაზეინურად „იწონიდენ“, ზერელად და შაბლონურად ეკიდებიან ჩვენი **სოციალისტური** სახალხო მეურნეობის წინსვლისათვის დასახულ სასარგებლო თაოსნობებს, ფეიწყობენ სოციალისტური შეჯიბრების უმნიშვნელოვანეს პრინციპებს. მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებებზე საზეიმო ვითარებაში, ტაშის გრიალში კისრულობენ ახალ ვალდებულებებს, მერე კი ერთხელაც არ ანინტერესებენ, თუ რა ფულია ხელს სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას, არ ანინახლია საკითხი, კომუნისტთა მსჯელობის საგნად არ აქცია მუშაობაში არსებული შაბლონი, ფორმალური დამოკიდებულება სოციალისტური შეჯიბრებისადმი.

ფორეალიზმი სოციალისტურ შეჯიბრებაში

ვალდებულებები ქაღალდზე

ჩოხატაურის № 3 ჩაის ფაბრიკას ბეგმით 110 ათასი მანეთი მოგება უნდა მიეღო, ფაქტიურად სამეურნეო წელი დიდი ზარალით დაამთავრა

◆

ფაბრიკაში მთელი სეზონის მანძილზე აკლდათ მუშახელი, წარამარა ფუჭდებოდა მანქანა-დანადგარები, რაც ცუდ გავლენას ახდენდა ფოთლის მიღება-გადამუშავების ტექნოლოგიურ რეჟიმზე. საყურადღებოა ერთი ფაქტიც: შარშანდელი სეზონის დაწყების წინ, აპრილში საქართველოს ჩაის ტრესტის სპეციალურმა კომისიამ შეამოწმა ფაბრიკა, მისი დანადგარ-მოწყობილობანი და სეზონისათვის სრულ მზადყოფნაში, ვარგისიანად ცნო. მაგრამ, როგორც შემდგომ გამოვლინდა, ყველაფერი რიგზე როდი იყო, ბევრ დანადგარს სერიოზული რემონტი დასჭირდა, ხოლო ქვალფიციური კადრები მთელი სეზონის მანძილზე არ ჰყოფნიდათ.

ჩოხატაურის ... ფაბრიკის მთავარი ინჟინერი ბ. ივანიშვილი, დირექტორი დ. ალანდაძე და სხვები ხმამაღლა ლაპარაკობდნენ ფაბრიკაში არსებულ ნაკლოვანებებზე, „მაგრამ წყალწყალა სიტყვებს გარდა კრების ოქმში ერთი კონკრეტული მაგალითიც არ ჩაეწერიათ, თუ რა უშლიდა ხელს წარმოების წინსვლას. ვინ არიან ის მუშაკები, რომლებიც უპასუხისმგებლოდ ეკიდებიან მინდობილ საქმეს? ჩვენ ვერ გავიგეთ, ვის მოერიდა პარტიული კრება, რომ არ დაასახელა კონკრეტული ფაქტები.

საქართველოს ჩაის ტრესტის (მმართველი რ. ხოფერია) ხელმძღვანელობამ ჩოხატაურის № 3 ჩაის ფაბრიკაში არსებულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად ადმინისტრაციული ღონისძიება გაატარა — ერთ სეზონში სხვადასხვა მიზეზით ორი დირექტორი შეცვალა!, მაგრამ ამით „თუ გაკეთდა რამე? დიდი არაფერი. ეგვანი თვე გავდა, რაც ჩაის ფოთლის მიღება-გადამუშავების სეზონი დამთავრდა. მერე მიმდინარე წლის პირველი სამი თვეც მიიწურა, ერთ თვეზე ცოტა ნაკლებ ხანში ჩაის ფოთლის კრეფის ახალი სეზონიც დაიწყება, ფაბრიკის მზადყოფნისათვის კი ჯერ კიდევ ბევრი რამ არის გასაკეთებელი. მანქანა-დანადგარების ტესტებზე ... ...

ერთიანი ბიბლიოთეკა

ერთიანი კომუნიკე

ა. ნ. კოსიგინი შვეიცარიაში

საქართველოს მთავრობის მოწვევით 1973 წლის 25 მარტიდან 2 აპრილამდე საბჭოთა კავშირში ოფიციალური ვიზიტით იყო სამხრეთ ვიეტნამის რესპუბლიკის განთავისუფლების ეროვნული ფრონტის ცენტრალური კომიტეტის წევრი, საგარეო საქმეთა მინისტრი ნგუენ თხი ბინი. იგი მეთაურობდა დელეგაციას, რომლის შემადგენლობაში იყვნენ სამხრეთ ვიეტნამის განთავისუფლების ეროვნული ფრონტის ცენტრალური კომიტეტის წევრი, სამხრეთ ვიეტნამის რესპუბლიკის ელჩი სხრ კავშირში დანგ კუანგ მინი და სამხრეთ ვიეტნამის რესპუბლიკის ელჩი პოლონეთის სახალხო რესპუბლიკაში ნან ჯან ტი.

ვიზიტის დროს სხრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ნ. ვ. პოდგორნიზე ნგუენ თხი ბინს კრემლში საზეიმო ვითარებაში გადასცა ხალხთა მეგობრობის ორდენი, რომლითაც იგი დაჯილდოდა პროგრესული, დემოკრატიული და მშვიდობისმოყვარე ძალების საერთაშორისო სოლიდარობის განმტკიცების საქმეში დიდი დამსახურებისათვის, ვიეტნამში უსრულესსაყოფად ნაყოფიერი საქმიანობისათვის, სამხრეთ ვიეტნამის პატრიოტული ძალების შეკავშირებისათვის და ჭალთა საერთაშორისო დღესასწაულთან 8 მარტთან დაკავშირებით.

ნგუენ თხი ბინმა დიდი მადლობა გადაუხადა თავისი საქმიანობის ესოდენ მაღალი შეფასებისათვის, რაც გამოიხატა საბჭოთა ორდენით მისი დაჯილდოებით, და განაცხადა, რომ ეს ჯილდო მას სამხრეთ ვიეტნამის მებრძოლებისა და თანამემამულეების ჯილდოდაც მიაჩნია.

მოსკოვში ყოფნის დროს ნგუენ თხი ბინმა და მისმა თანმხლებმა პირებმა ვვარეგვინებით შეამკეს ვ. ი. ლენინის მავზოლეუმი და უცნობი ჯარისკაცის საფლავი. სახსრეთვიეტნამელი სტუმრები იყვნენ ლენინგრადში, სადაც გაეცნენ ქალაქის ღირსშესანიშნაობებს. საბჭოთა ადამიანები ყველგან ჯუთნიანად მიესალმებოდნენ სამხრეთ ვიეტნამის რესპუბლიკის დელეგაციის მოგზაურობას.

საბჭოთა კავშირში ყოფნის დროს ნგუენ თხი ბინი მიღებულ იქნა ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სხრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ნ. ვ. პოდგორნიმ. მიღების დროს ნგუენ თხი ბინმა გადასცა სამხრეთ ვიეტნამის რესპუბლიკის დროებითი რევოლუციური მთავრობის განცხადების ტექსტი იმის შესახებ, თუ როგორ სრულდება ჟენევის ომის შეწყვეტისა და მშვიდობის აღდგენის შეთანხმება განვლილი ორი თვის მანძილზე.

სამხრეთ ვიეტნამის რესპუბლიკის განთავისუფლების ეროვნული ფრონტის ცენტრალური კომიტეტის წევრი, საგარეო საქმეთა მინისტრი ნგუენ თხი ბინი შეხვდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრებს ბ. ნ. პონომარიოვს, აგრეთვე ესაუბრა სხრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრს ა. ა. გრომიკოს.

შეხვედრებსა და საუბრის დროს, რომლებმაც გულითადობის, ძმური მეგობრობისა და ურთიერთთანგების ვითარებაში ჩაიარა, მხარეებმა ერთმანეთს გაუზიარეს აზრები ურთიერთსაინტერესო საკითხებზე, მათ შორის აქტუალურ საერთაშორისო პრობლემებზე. მხარეებმა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმეს სამხრეთ ვიეტნამში შექმნილი მდგომარეობის განხილვას.

ერთსულოვნად აღინიშნა, რომ შეთანხმება ვიეტნამში ომის შეწყვეტისა და მშვიდობის აღდგენის შესახებ — ეს უწინარეს ყოვლისა არის გმირი ვიეტნამელი ხალხის გამარჯვება, რომელიც მრავალი წლის მანძილზე, სძლევდა რა უდიდეს სიძნელეებსა და გაჭირვებას, თავდადებით იბრძოდა აშერიკის აგრესიის წინააღმდეგ თავისი ეროვნული უფლებების დასაცავად. ეს არის სამხრეთ-ვიეტნამელი მოსახლეობის მისწრაფება ჭეშმარიტი გამოსახლეულის სამხრეთ ვიეტნამის რესპუბლიკის დროებითი რევოლუციური მთავრობისა და ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის კონსტრუქციული პოლიტიკის შედეგი, რომლებმაც უნარიანად შეახვეს ერმოლის სხვადასხვა ფორმა, მათ შორის შეიარაღებული, პოლიტიკური და დიპლომატიური. ეს არის აგრეთვე ენერგიული ქვეყნების ხალხთა საერთო გამარჯვება. ეს ამასთან არის სოციალისტური ქვეყნების, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის, მსოფლიოს მთელი მშვიდობისმოყვარე პროგრესული ძალების დიდი გამარჯვება, ყოველივე ეს ადასტურებს, რომ ეს ჯილდო მას სამხრეთ ვიეტნამის მებრძოლებისა და თანამემამულეების ჯილდოდაც მიაჩნია.

მოსკოვში ყოფნის დროს ნგუენ თხი ბინმა და მისმა თანმხლებმა პირებმა ვვარეგვინებით შეამკეს ვ. ი. ლენინის მავზოლეუმი და უცნობი ჯარისკაცის საფლავი. სახსრეთვიეტნამელი სტუმრები იყვნენ ლენინგრადში, სადაც გაეცნენ ქალაქის ღირსშესანიშნაობებს. საბჭოთა ადამიანები ყველგან ჯუთნიანად მიესალმებოდნენ სამხრეთ ვიეტნამის რესპუბლიკის დროებითი რევოლუციური მთავრობის წარმომადგენლებს.

საბჭოთა კავშირში ყოფნის დროს ნგუენ თხი ბინი მიღებულ იქნა ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სხრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ნ. ვ. პოდგორნიმ. მიღების დროს ნგუენ თხი ბინმა გადასცა სამხრეთ ვიეტნამის რესპუბლიკის დროებითი რევოლუციური მთავრობის განცხადების ტექსტი იმის შესახებ, თუ როგორ სრულდებოდა ჟენევის ომის შეწყვეტისა და მშვიდობის აღდგენის შეთანხმება განვლილი ორი თვის მანძილზე.

სამხრეთ ვიეტნამის რესპუბლიკის განთავისუფლების ეროვნული ფრონტის ცენტრალური კომიტეტის წევრი, საგარეო საქმეთა მინისტრი ნგუენ თხი ბინი შეხვდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრებს ბ. ნ. პონომარიოვს, აგრეთვე ესაუბრა სხრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრს ა. ა. გრომიკოს.

შეხვედრებსა და საუბრის დროს, რომლებმაც გულითადობის, ძმური მეგობრობისა და ურთიერთთანგების ვითარებაში ჩაიარა, მხარეებმა ერთმანეთს გაუზიარეს აზრები ურთიერთსაინტერესო საკითხებზე, მათ შორის აქტუალურ საერთაშორისო პრობლემებზე. მხარეებმა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმეს სამხრეთ ვიეტნამში შექმნილი მდგომარეობის განხილვას.

ერთსულოვნად აღინიშნა, რომ შეთანხმება ვიეტნამში ომის შეწყვეტისა და მშვიდობის აღდგენის შესახებ — ეს უწინარეს ყოვლისა არის გმირი ვიეტნამელი ხალხის გამარჯვება, რომელიც მრავალი წლის მანძილზე, სძლევდა რა უდიდეს სიძნელეებსა და გაჭირვებას, თავდადებით იბრძოდა აშერიკის აგრესიის წინააღმდეგ თავისი ეროვნული უფლებების დასაცავად. ეს არის სამხრეთ-ვიეტნამელი მოსახლეობის მისწრაფება ჭეშმარიტი გამოსახლეულის სამხრეთ ვიეტნამის რესპუბლიკის დროებითი რევოლუციური მთავრობისა და ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის კონსტრუქციული პოლიტიკის შედეგი, რომლებმაც უნარიანად შეახვეს ერმოლის სხვადასხვა ფორმა, მათ შორის შეიარაღებული, პოლიტიკური და დიპლომატიური. ეს არის აგრეთვე ენერგიული ქვეყნების ხალხთა საერთო გამარჯვება. ეს ამასთან არის სოციალისტური ქვეყნების, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის, მსოფლიოს მთელი მშვიდობისმოყვარე პროგრესული ძალების დიდი გამარჯვება, გონებისა და რეალიზმის გამარჯვება საერთაშორისო პრობლემების გადაჭრის საქმეში, მშვიდობისა და ხალხთა თვითგამორკვევის უფლების ინტერესებისათვის. ხაზგასმით აღინიშნა, რომ ვიეტნამში მშვიდობის აღდგენა შეესაბამება ვიეტნამელი ხალხის ძირეულ ეროვნულ უფლებებსა და სამხრეთვიეტნამელი მოსახლეობის თვითგამორკვევის უფლებას, აქტიური წვლილი შეაქვს სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიასა და მთელ მსოფლიოში მშვიდობის დაცვის, სახელმწიფოთა ურთიერთობის გაუმჯობესების საქმეში.

მხარეები შეეხნენ ვიეტნამის მდგომარეობას და გამოთქვეს ერთსულოვანი აზრი, რომ ამჟამად მთავარი საკითხია ზუსტად და განუხრელად მისრულდეს პარიზის შეთანხმების მუხლები და დებულებანი და ამ შეთანხმების ოქმები.

საბჭოთა მხარე მხურვალედ მიესალმება და ადასტურებს სამხრეთ ვიეტნამის რესპუბლიკის დროებითი რევოლუციური მთავრობისა და ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის კეთილ ნებასა და სწორ პოზიციას ვიეტნამის შესახებ პარიზის შეთანხმების განუხრელი პატივსაცემისა და ზუსტად შესრულების საქმეში.

მხარეებმა აღნიშნეს, რომ შეთანხმების ზოგიერთი მუხლი ხორციელდება: ამერიკის შეერთებულ შტატებსა და მის მოკავშირეებს გაეყვათ ჯარები სამხრეთ ვიეტნამიდან; მიმდინარეობს სამხედრო ტყვეთა გაცვლა; პარიზში დაიწყო სამხრეთ ვიეტნამის ორი მხარის დელეგაციათა კონსულტაციები პოლიტიკური პრობლემების გადაჭრის მიზნით. მხარეებმა დაადასტურეს აგრეთვე ვიეტნამის შესახებ გამართული საერთაშორისო კონფერენციის დიდი მნიშვნელობა, აღნიშნეს, რომ აუცილებლად საჭიროა მისი საბოლოო აქტის ყველა დებულების რეალიზაცია.

ამასთანავე მხარეებმა შეშფოთება გამოთქვეს იმის გამო, რომ საიგონის ხელისუფალნი ძალიან ხშირად სარიოზულად არღვევენ შეთანხმებას ვიეტნამში ომის შეწყვეტისა და მშვიდობის აღდგენის შესახებ. არ იცავენ დებულებებს ცეცხლის შეწყვეტის შესახებ, ახშობენ დემოკრატიულ თავისუფლებებს, არ აბრუნებენ დატყვევებულ სამოქალაქო პირსონალს, ყველა ცდილობენ დაასუსტონ დემოკრატიული ძალების პოზიციები სამხრეთ ვიეტნამში, გაართულონ და გააძნელონ საერთაშორისო საკონტროლო და სამთვალყურეო კომისიის, აგრეთვე ორმხრივი შერეული სამხედრო კომისიის საქმიანობა.

ორივე მხარეს მიაჩნია, რომ ამერიკის შეერთებული შტატები, ისევე როგორც სხვა მხარეები, განუხრელად უნდა ასრულებდეს პარიზის შეთანხმებას ვიეტნამის შესახებ.

საბჭოთა და სამხრეთ ვიეტნამის მხარეებმა განაცხადეს, რომ გადაჭრით გმობენ მომხდარ დარღვევებს, და გამოთქვეს მტკიცე რწმენა, რომ ამაოა ყოველგვარი ცდა ხელი შეუშალონ სამხრეთ ვიეტნამის წინსვლას მშვიდობის, დემოკრატიისა და პროგრესის გზით, ხელი შეუშალონ ვიეტნამელი ხალხის თავისუფლების, დამოუკიდებლობისა და ერთიანობის საქმის გამარჯვებას, იმ პრინციპების გამარჯვებას, რომლებიც დაშკვიდრებულია ვიეტნამში ომის შეწყვეტისა და მშვიდობის აღდგენის შეთანხმებით და კვლავ დადასტურებულია ვიეტნამის შეთანხმებულ საერთაშორისო კონფერენციის აქტით.

საბჭოთა და სამხრეთ ვიეტნამის მხარეები კმაყოფილნი აღინიშნავენ, რომ პარიზის შეთანხმების შემდეგ ვიეტნამიაში ხელი მოაწერეს შეთანხმებას ლაოსში მშვიდობის აღდგენისა და ეროვნული თანხმობის შესახებ, რომელიც ითვალისწინებს ყოველგვარი სამხედრო მოქმედების, მათ შორის დაბომბვის შეწყვეტას, ეროვნული ერთიანობის ახალი დროებითი კოალიციური მთავრობის შედგენას და იმისათვის გზის გაკაფვას, რომ ახდეს ლაოსელი ხალხის ეროვნული მისწრაფებანი — აშენდეს მშვიდობიანი, ნეიტრალური, დამოუკიდებელი, დემოკრატიული, ერთიანი და აყვავიული სახელმწიფო. ისინი აგრეთვე სოლიდარობას უცხადებენ კამბოჯელ ხალხს, რომელიც იბრძვის თავისი ძირითადი ეროვნული უფლებებისათვის — დამოუკიდებლობის, სუვერენიტეტის, ნეიტრალიტეტის, დემოკრატიისა და ტერიტორიული მთლიანობისათვის.

საბჭოთა მხარემ განაცხადა, რომ საბჭოთა ადამიანები მშვიდობის დღეებში, ისევე როგორც ომის დღეებში, შუამდგომლებენ ხალხთან ერთად იქნებიან და თავიანთი ინტერნაციონალური მოვალეობად მიაჩნიათ მისი სამართლიანი საქმისათვის მხარის დაჭერა.

განთავისუფლების ეროვნული ფრონტის ცენტრალური კომიტეტის, სამხრეთ ვიეტნამის რესპუბლიკის დროებითი რევოლუციური მთავრობისა და სამხრეთ ვიეტნამის მთელი მოსახლეობის სახელით ნგუენ თხი ბინმა გულწრფელი და დიდი მადლობა გადაუხადა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, სხრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს, მთავრობასა და საბჭოთა ხალხს, რომლებიც დიდ, მნიშვნელოვან და ეფექტიან დახმარებასა და მხარდაჭერას უწევდნენ და უწევენ ვიეტნამელი ხალხის სამართლიან ბრძოლას. ნგუენ თხი ბინი მხურვალედ მიესალმა დიად გამარჯვებებს, რომლებსაც მოიმკი საბჭოთა ხალხმა მიაღწია ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის მანძილზე სამშობლოს შენებლობისა და დაცვის საქმეში, და გულწრფელად უსურვა მას ყველავაც მოიპოვოს ახალი, კიდევ უფრო დიდი წარმატებანი ყველა დარგში. ნგუენ თხი ბინმა სკკპ ცენტრალურ კომიტეტსა და სხრ კავშირის მთავრობას აარეთვე გულთბილი მადლობა გადაუხადა ძმური მასპინძლობისათვის, რომელიც მას გაუწიეს საბჭოთა კავშირში.

სამხრეთ ვიეტნამის განთავისუფლების ეროვნული ფრონტის ცენტრალური კომიტეტის წევრის, სამხრეთ ვიეტნამის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის ნგუენ თხი ბინის მეგობრული ოფიციალური ვიზიტი საბჭოთა კავშირში, გამართული შეხვედრები და საუბრები წვლილია საბჭოთა კავშირ-ვიეტნამის ურთიერთობის, სხრ კავშირის მთავრობისა და სამხრეთ ვიეტნამის რესპუბლიკის დროებითი რევოლუციური მთავრობის კავშირურთიერთობის შემდგომი განვითარების საქმეში და წარმოადგენს ახალ ნაბიჯს საბჭოთა კავშირისა და სამხრეთ ვიეტნამის ხალხთა მეგობრობისა და სოლიდარობის განმტკიცების გზაზე.

ბონი

ურთიერთობა გაფართოვდება

ბონი, 4 აპრილი. (საკდესი). გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობა აპირებს გადაწყვიტოს ორ გერმანულ სახელმწიფოს შორის ურთიერთობის გაუმჯობესების კურსი.

ეს ნათქვამია დღეს აქ გამოქვეყნებულ მთავრობის მოხსენებაში ჩრდილოეთ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ურთიერთობის განვითარების შესახებ.

როგორც მოხსენებაშია აღნიშნული, ორ გერმანულ სახელმწიფოს შორის ურთიერთობის საფეხურებლივ ძლევენ ერთი ნაბიჯი ერთმანეთისადმი, ნდობის განმტკიცებისადმი, თანამშრომლობისადმი.

გუშინ შესაძლებლობა მოგვეცა გვესაუბრა მის უდიდებულესობა მეფე გუსტავ VI ადოლფთან. ჩვენ შევხვდით და ვესაუბრეთ ბატონ პალმესა და შვეიცის სხვა სახელმწიფო მოღვაწეებს. ვახასიათებთ რა ამ საუბრებს, შეგვიძლია ვთქვათ, რომ აზრთა გაცვლა რეალურად საერთაშორისო პრობლემებზე, ისე ორმხრივი ურთიერთობის საკითხებზე, უკმაყოფილო, ნაყოფიერი იყო. განხილულმა საკითხებმა, ამ შეხვედრების ატმოსფერომ გვიჩვენეს, რომ ორივე მხარე გამხნევებულია სურვილით უფრო მაღალ საფეხურზე აიყვანონ საბჭოთა კავშირ-შვეიცის ურთიერთობა, გააფართოონ ჩვენი ქვეყნებისა და ხალხების თანამშრომლობა.

ჩვენი ვიზიტის მიზანი სწორედ ის არის, რომ დავადასტუროთ საბჭოთა მთავრობისა და საბჭოთა ხალხის განუხრელი სურვილი განვითარდეს თართ. კავშირურთიერთობა და თანამშრომლობა შვეიცარიასთან. ნამდვილი კეთილმეზობლობისა და ჩვენი ქვეყნების ურთიერთობისათვის დამახასიათებელი მშვიდობიანი ტრადიციების სულისკვეთებით. ჩვენი მიზანი აგრეთვე ის არის, რომ დავახასოთ, სადაც ეს შესაძლებელია, პრაქტიკული გზები ჩვენი თანამშრომლობის შემდგომი განვითარებისათვის.

საბჭოთა მთავრობის მეთაურმა შემდეგ თქვა, რომ თანამშრომლობის გაფართოებისადმი მისწრაფება სულ უფრო ძლიერი ტენდენცია ხდება საერთაშორისო ურთიერთობაში. მეორე მხრივ, მხოლოდ ამ ტენდენციის განმტკიცებითა და განვითარებით შეგვმინით მტკიცე მშვიდობის, უშიშროებისა და ნდობის ვითარების, რომელიც სჭირდებათ ხალხებს.

მომავალი მსოფლიო, უეჭველია, თანამშრომლობის მსოფლიო იქნება. ვგვითარებთ რა ურთიერთობას სხვა ქვეყნებთან, ამას ვშვრებით არა მარტო კონკრეტული პრაქტიკული ამოცანების გადაწყვეტისათვის, არამედ მშვიდობის განმტკიცების ინტერესებისთვისაც.

საბჭოთა კავშირი მზად არის ყველაფერ ითანამშრომლოს შვეიციასთან კეთილმეზობლობისა და ურთიერთგაგების განვითარების საქმეში. ჩვენ გვსურს, შვეიცის ხალხს ჯანუმტკიცდეს რწმენა, რომ საბჭოთა კავშირის ხალხები მისი გულწრფელი მეგობრები არიან.

ა. ნ. კოსიგინმა წარმოთქვა მშვიდობისა და პროგრესის საკეთილდღეოდ საბჭოთა კავშირ-შვეიცის თანამშრომლობის შემდგომი განვითარების სადღეგრძელო.

შემდეგ გამოვიდა პრემიერ-მინისტრი უ. პალმე. ორ საღამს, თქვა მან შემდეგ, რომლებსაც თავიანთი ისტორიის მანძილზე ჰქონდათ მჭიდრო კონტაქტები და ბევრ რამეში გაგულებას აცხადებენ ერთმანეთში — შეეხებოდა, რა თქმა უნდა, რომ ჩვენ პატარა ქვეყანა ვართ, საბჭოთა კავშირი კი დიდი ქვეყანაა, — ასეთ ხალხებს უნდა ჰქონდეთ ბევრი რამ საერთო, მათ შეუძლიათ ბევრი რამ გაუზიარონ ერთმანეთს ადამიანის საქმიანობის ყველა დარგში. ამიტომ დიდად ვიფასებთ, რომ თქვენ, ბატონო კოსიგინ, ჩამობრძანდით ჩვენთან ვიზიტით.

ჩვენ შესაძლებლობა გვქონდა, თქვა უ. პალმემ, გავვიზიარებინა ერთმანეთისათვის აზრი აქტუალურ საერთაშორისო საკითხებზე, უკეთ გავეცნობოდით ერთმანეთის პოზიციებს. ეს მიგვაჩნია მშვიდობიანი თანამშრომლობისა და მშვიდობიანი კონტაქტების ჭეშმარიტული განვითარების რეალად. ჩვენ მეტად დაინტერესებული ვართ ამ საკითხების გადაწყვეტით, რომლებიც განვიხილეთ, მათ შორის გრძელვადიანი სავაჭრო და ეკონომიური თანამშრომლობის საკითხების გადაწყვეტით.

უ. პალმემ წარმოთქვა სხრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ა. ნ. კოსიგინის, შვედი და საბჭოთა ხალხების მეგობრობის სადღეგრძელო.

პრეზიდენტ სადათის ინტერვიუ

ნიუ-იორკი

3 აპრილი. (საკდესი). ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკის პრეზიდენტმა ანვარ სადათმა ამერიკის ეროვნულ „ნიუსუიკისათვის“ მიცემულ ინტერვიუში გააკრიტიკა აშერიკის შეერთებული შტატების პოზიცია ახლო აღმოსავლეთში, რომელიც მიზნად იაბავს ისრაელი აგრესორების ნაქეზებას.

ა. სადათმა აღნიშნა, რომ ვაშინგტონში ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკის პრეზიდენტის მრჩეველის ეროვნული უშიშროების საკითხებში ჰენრი ისმაილის ამსაწინანდელ ვიზიტს დამაიმედებელი შედეგები არ მოყოლია. ამერიკელებმა, თქვა მან, მოითხოვეს ეალმხრივი ვალდებულებანი ისრაელის სასარგებლოდ. მათ არ მოუხდენიათ და არც აპირებენ რაიმე ზეგავლენა მოახდინონ ტელ-ავივზე, პირიქით, აშკარაა შეერთებული შტატებისა და ისრაელის სრული და აბსოლუტური თანხმობა ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკის საკითხში, ისრაელის საგარეო საქმეთა მინისტრმა ებანმა დაადასტურა ეს.

ვაშინგტონში არავინ არ უარყოფს ამას. უფრო მეტიც, ჰენრი ისმაილის მისვლის შემდეგ მაშინვე ვაშინგტონმა გამოაქვეყნა ტელ-ავივისათვის „ფანტომის“ თვითმფრინავების მიყიდვისა და ისრაელში ავიაგამანადგურებელ-ბომბდამშენების წარმოების მოგვარებაში ამერიკის შეერთებული შტატების დახმარების შესახებ ახალი შეთანხმების დაფრილებითი მონაცემები.

ა. სადათმა კატეგორიულად უარყო ამერიკის შეერთებული შტატების ცდები გაამართლოს თავისი პოზიცია ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტში „ისრაელის უშიშროებისათვის“ ზუნვითი. „ჩვენც გვეშინოდა უშიშროება, — განაცხადა მან. — მაგრამ ისრაელებს დაპყრობილი აქვთ სამი არაბული სახელმწიფოს ტერიტორია... და შეერთებული შტატების მხარდაჭერით ცდილობენ თავიანთი ნება თავს მოახვიონ ამ რაიონს“.

ამავე დროს ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკის პრეზიდენტმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ეგვიპტე განაგრძობს ღონისძიებებს დიპლომატიური გზით ახლო აღმოსავლეთის პრობლემის გადაწყვეტის გამოსაძებნად, მაგრამ არ დაეთანხმება არაბული ტერიტორიების ოკუპაციას და ამ საკითხში არაფერს არ დაუშმახ ტელ-ავივს.

ა. სადათმა კმაყოფილება გამოთქვა საბჭოთა კავშირის პოზიციის გამო ახლო აღმოსავლეთში, კერძოდ, იმ დახმარების გამო, რომელსაც ეგვიპტეს უწევს.

ვაშინგტონი

ნინაალღლეგობანი მნეველება

3 აპრილი. (საკდესი). ამერიკის პრესა შეშფოთებით აღნიშნავს შეერთებულ შტატებსა და დასავლეთ ევროპის ქვეყნებს შორის წინააღმდეგობათა გაძლიერებას. ამ ურთიერთობის გაუარესების მორიგი დადასტურება იყო გასულ კვირაში ამსტერდამში გამართული „ევროპა-ამერიკის კონფერენციაა“, რომლის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს მეცნიერთა სამყაროს, პოლიტიკური წრეების წარმომადგენლებმა და მთავრობის ყოფილმა მუშაკებმა. თუმცა ეს შეხვედრა განზრახული იყო, აღნიშნავს თავის კომენტარში გაზეთი „ვაშინგტონ ივნინგ სტარ ენდ დეილი ნიუსი“, როგორც იმის ცდა, რომ „გამოეცხლებინათ ატლანტიკის გაციებული ატმოსფერა, საბოლოო ანგარიშით ეს გადაიქცა სამმეთრების ხერხად ოდესღაც ცოცხალი კავშირის გამო“. თვალსაჩინო ევროპელი და ამერიკელი თრატორები, — აღნიშნავს გაზეთი, — ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ ევროპა-ამერიკის მომავალი ურთიერთობის გამო პესიმიზმის გამოვლინებაში.

პროტესტებით შეხვდნენ

ვაშინგტონი, 3 აპრილი. (საკდესი). საპროტესტო დემონსტრაციებით შეხვდნენ ხან-კლემენტში (კალიფორნიის შტატი) ჩამოსულ საიგონის ადმინისტრაციის მეთაურს თხიეუს, რომელმაც დაიწყო აქ მოლაპარაკება ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტ რ. ნიქსონთან.

სანკლემენტში ორი დღის მოლაპარაკების დროს, რომლის დღის წესრიგი ოფიციალურად არ გამოუცხადებიათ, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი რ. ნიქსონი და თხიეუ, როგორც პრესა იუწყება, განიხილავენ ინდოჩინეთის მდგომარეობასა და ამერიკა-სამხრეთ ვიეტნამის ურთიერთობას.

ბონი

„ბიგ ბენს“ საშიშროება ელის

„ნიუს დეილი“ (ბდრ)

**ბონი, 4 აპრილი. (საკდესი). ბონში ბონ ვეტაბლ ბანკ ბანკ ბანკ

საქართველოს ამა-ბარეი

დაიწყო

ტურისტული სეზონი

ბაზუბულის დადგომასთან ერთად ორგანიზებულად დაიწყო ახალი ტურისტული სეზონი აფხაზეთში. ზღვით, ჰაერით თუ ხმელეთით — ყველა სახეობის ტრანსპორტით სოხუმში უწყვეტ ნაკადად მოედინებიან საბჭოთა და უცხოელი ტურისტები.

წელს განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მასობრივ ტურიზმს. ქარხანა „სოხუმხილეულეულეულ“ ხელმძღვანელები თავიანთი საწარმოს მუშებისათვის აუცდენლად ხსნიან 800-ადგილიან ბაზას. აქვე ასეთივე ხასიათ ბაზას ხსნის აგრეთვე სოხუმის ტურისტთა კლუბი. გასულ წელს ტურისტთა კლუბმა საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვება მოიპოვა და წელსაც ნაყოფიერად განაგრძობს მუშაობას.

აფხაზეთის ტურისტულმა ბაზებმა 1973 წელი საუკეთესო მომსახურების დროდ გამოაცხადეს. ქალაქში დასასვენებლად ჩამოსულთათვის მოეწყობა ექსკურსიები აფხაზეთის ღირსშესანიშნავ ადგილებში, ხოლო სოხუმში მცხოვრებთათვის გამოიყოფა ოთხი ტურისტული მატარებელი. ექსკურსიები მოეწყობა აგრეთვე გემითა და ავტობუსებით. გაიმართება ახალგაზრდა ტურისტთა შეკრებები.

აფხაზეთის რაიონებსა და ქალაქებში წელს მომზადდება „საბჭოთა კავშირის ტურისტის“ 15.000 ნიშნოსანი, აგრეთვე 50 მესამე თანრიგოსანი.

აფხაზეთი ტურისტული მხარეა, მისი თვალწარმტაცი ბუნება უამრავ დამსვენებელსა და ტურისტს იზიდავს, საჭიროა სტუმრებს შესაფერისი მომსახურება გაეწიოს.

ნ. მიქაშავიძე,
აფხაზეთის ასსრ ტურისტთა საბჭოს წევრი.

უჩვეულებს საბჭოთა საქართველო

დასავლეთ ბერლინის საერთაშორისო გამოფენაზე

დასავლეთ ბერლინში 30 აპრილიდან 15 მაისამდე ეწყობა საბჭოთა კავშირის სავაჭრო-სამრეწველო გამოფენა. იგი მიზნად ისახავს საგარეო სავაჭრო ეკონომიური ურთიერთობის შემდგომ განვითარებას. გამოფენაზე დამოუკიდებელი ექსპოზიციით მონაწილეობს საქართველოს სსრ რესპუბლიკა. მან უნდა ასახოს ქართველი ხალხის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის შემდგომი ამაღლების თემა.

ჩვენი რესპუბლიკის ექსპოზიციის მთავარი მიზანია უჩვენოს ლენინური ეროვნული პოლიტიკის გამარჯვება საბჭოთა სახელმწიფოს არსებობის 50 წლის მანძილზე, ერთ-ერთი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის, მეცნიერებისა და კულტურის განვითარების მაგალითზე.

— საქართველოს მრავალჯერ მიუღია მონაწილეობა საზღვარგარეთ გამართულ საბჭოთა გამოფენებში. — უთხრა „კომუნისტის“ კორესპონდენტს რ. მუხიბულაშვილს საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის პრეზიდიუმის თავმჯდომარემ რ. ელიბულაშვილმა, — და ყოველთვის საუკეთესო შეფასება დაუსახელებია. ამჯერადაც ვეცდებით სატაბო მისიას წარმატებით გავართვათ თავი.

ექსპოზიცია მოიცავს 500 კვადრატულ მეტრამდე ფართობს. მისი მხატვრული გაფორმების პროექტი შეიმუშავა ქართველ მხატვართა და არქიტექტორთა ჯგუფმა შოთა ყავლაშვილის ხელმძღვანელობით. პავილიონის ცენტრალურ დარბაზს დაამშვენებს ქართული ორნამენტებით შემკული ჭიდური ნაკეთობის ჭაღი, რომლის ავტორია მხატვარი ნ. ერგემლიძე.

საქართველოს პავილიონი, სადაც გათავალისწინებულია სახალხო მოხმარების საგნების გაფორთოებული ჩვენება, შედგება შემდეგი მთავარი თემებისაგან — „საქართველოს სსრ მოძმე რესპუბლიკების ძმურ ოჯახში“; „ეკონომიური და კულტურული ურთიერთობა მოძმე რესპუბლიკებთან“; „საქართველოს საწარმოების მარკიანი ექსპონატები საბჭოთა კავშირის ექსპორტში“, „საგარეო ბაზრისათვის განკუთვნილი ახალი ნაწარმი“ და „გიწვევთ საქართველოში“.

საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატამ საგამოფენო ექსპონატების სია შეითანხმა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტთან, საკავშირო სამინისტროებთან, აგრეთვე მოძმე რესპუბლიკების საგარეო ვაჭრობისა და საკავშირო გაერთიანებებთან და სსრ კავშირის სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან. სულ ექსპონატების მომზადებაში მონაწილეობას მიიღებს ჩვენი რესპუბლიკის 82 დაწესებულება.

გამოფენაზე სტუმრები გაეცნობიან როგორც ტრადიციულ, ისე ახალი დახასიათების ექსპონატებს, რომელთა ძირითადი ნაწილი უკვე გაიგზავნა. მათ შორის არის ელექტროტექნიკური ნაწარმი, გამოთვლითი მანქანები, ჰიდრომეტეოროლოგიური ხელსაწყოები, ტემბისა და კატერების მოდელები და ა. შ.

საქართველოს სსრ მეცნიერებანი ჩვენი კინოსტუდიების მოკლემეტრაჟიანი, მხატვრული და დოკუმენტური ფილმები.

საინტერესოდ იქნება წარმოდგენილი განყოფილება „გიწვევთ საქართველოში“. ფოტოსტენდები მოუთხრობენ მნახველებს ჩვენს კურორტებზე, მდიდარ ისტორიულ ძეგლებსა თუ ტურისტულ ბილიკებზე, ქართველი ხალხის უძველეს კულტურაზე, აწმყოსა და მომავალზე.

აღსანიშნავია, რომ ექსპოზიციაში მონაწილეობას მიიღებს თბილისის მოდელების სახლი. მნახველებს ვუჩვენებთ ქართველ მხატვარ-მემოდელეთა მიერ შექმნილ ქართული ორნამენტებით მორთულ მოდებს.

საქართველოს პავილიონში შეიქმნება საინფორმაციო ბიუტერი — „კიდევ რის გაგება გსურთ საქართველოს შესახებ“? დამთვალიერებელთა შორის გავრცელდება ქართულ და ინგლისურ ენებზე დაბეჭდილი ბუკლეტები „საბჭოთა საქართველოს ექსპორტი“, „საქართველოს სსრ რესპუბლიკა მოძმე რესპუბლიკების ძმურ ოჯახში“, „საქართველოს საწარმოთა მარკიანი ნაწარმი საერთაშორისო ბაზარზე“, აგრეთვე სამკერდე ნიშნები.

მწვანე საამქროში

ქარხნის სასათბურე მეურნეობა

რუსთავი. (ხაკ. კორ.). ერთი ჰექტარი უკავია მეტალურგიული ქარხნის სასათბურე მეურნეობას. აქ სულ მალე უკვე კიტრისა და პამიდორის პირველ მოსავალს მიიღებენ. ახლო მომავალში კი სასათბურე მეურნეობა კიდევ ორ ჰექტარზე გაშენდება, ამით მთლიანად დაკმაყოფილდება მეტალურგების მუშათა სასადილოების მოთხოვნილება ბოსტნეულზე.

სასათბურე მეურნეობის მშენებლობასა და მოსავლის მოყვანას ხელმძღვანელობს ქარხნის გამწვანების სამმართველო. სასათბურე მეურნეობის შემდგომი მშენებლობისათვის ახლა მზადდება ლითონკონსტრუქციები და დრენაჟები.

„საქართველოს სოფლის მეურნეობა“ № 3

გამოვიდა საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ყოველთვიური სამეცნიერო-პოპულარული ჟურნალის „საქართველოს სოფლის მეურნეობის“ მორიგი შესამე ნომერი.

უკრავს საბავშვო ორკესტრი

ამ ორკესტრში უკრავენ ბავშვები — ქალაქ თბილისის № 27 საბავშვო ბაგა-ბაღის უფროსი ჯგუფის აღსაზრდელები. მათგან ყველაზე უფროსი ექვსი წლისაა, უმცროსი — ოთხისა. ორკესტრში 35 ბავშვია.

ორკესტრის თვითეული სოლისტი ერთნაირად კარგად უკრავს სხვადასხვა ინსტრუმენტს.

ჩვენს რესპუბლიკაში პირველი საბავშვო რიტმული ორკესტრის შექმნის ინიციატორები იყვნენ საბავშვო ბაგა-ბაღის გამგე ე. ბოლოდაშვილი, მუსიკის პედაგოგი ტ. ასათიანი, პედაგოგი აღმზრდელები დ. ორჯონიკიძე და ლ. ვორდელაძე.

სურათებზე: ზემოთ — უკრავს თბილისის № 27 საბავშვო ბაგა-ბაღის ბავშვთა რიტმული ორკესტრი. მარჯვნივ — დირიჟორის პულტთან არის ვახტანგ ქავთარაძე. მარცხნივ — მღერის ლელა ბერიძე. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

მეგობრობის ღრმა ფესვები

ქართული ისტორიული ძეგლები ასტრახანში

რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის მრავალსაუკუნოვან ისტორიაში ქალაქ ასტრახანს გარკვეული ადგილი ეკავა. ასტრახანი რუსეთის სახელმწიფოს სამხრეთ-აღმოსავლეთ საზღვარზე უმნიშვნელოვანეს სამხედრო-სტრატეგიულ და სავაჭრო პუნქტს წარმოადგენდა, ამიტომ XVII-XVIII საუკუნეებში ამ ორ ქვეყანას შორის დამაკავშირებელ გზაზე იგი ერთ-ერთი ცენტრი იყო.

აქედან გადიოდა გზები ჩრდილოეთ კავკასიასა და ამიერკავკასიაში, საქართველოში, სპარსეთსა და შუა აზიაში. აქ თავს იყრიდა მრავალი ქვეყნიდან ჩამოსული ვაჭარი, ჩერდებოდნენ გზად მიმავალი ელჩები და პოლიტიკური მოღვაწენი. აქ უცხოვრია არა ერთ სახელოვან ქართველს, გამოჩენილ სახელმწიფო და კულტურულ მოღვაწეებს — არჩილ მეფეს, ვახტანგ მეექვსეს, სულხან-საბა ორბელიანს, თეიმურაზ მეორეს, ვაიოზ რეტორს და სხვ. ეს დიდი ისტორიული მნიშვნელობის, მრავლისმთქმელი ფაქტებია და თავისთავად ნათელი დადასტურებაა იმ მჭიდრო ურთიერთკავშირისა, რომელიც საქართველოსა და რუსეთს შორის საუკუნეთა მანძილზე არსებობდა.

ასტრახანის ისტორიაში მნიშვნელოვანი ადგილი ენიჭება იმ ფაქტს, რომ ამ ქალაქში დასაფლავებულია XVIII ს. ორი გამოჩენილი ქართველი თეიმურაზ II.

მოუვლელობის გამო ვახტანგისა და თეიმურაზის საფლავების ძეგლები და წარწერები ჯერ კიდევ XIX საუკუნეში დაიღუბა. ხოლო უკანასკნელი ათეული წლების მანძილზე ტაძრის შენობას ხან სწყობდა, ხან კი არქივის საცავად ეყენებდნენ.

ამჟამად ასტრახანის მიძინების ტაძარი, როგორც XVII ს. მიწურულისა და XVIII საუკუნის დასწყისის რუსული კულტურის მნიშვნელოვანი ძეგლი, ასტრახანის მხარეთმცოდნეობის მუზეუმს გადაეცა. ძეგლი, რომელიც ადრე სათანადო მოვლა-პატრონობას მოკლებული იყო, ახლა დიდ სარესტავრაციო სამუშაოებს ეღირსა.

ტაძრის ქვედა სართულში, სადაც ვახტანგ VI და თეიმურაზ II არიან დამარხულნი, არქეოლოგიური სამუშაო გაშალეს. რისთვისაც მოსკოვიდან სპეციალისტები მოიწვიეს და რეკონსტრუქციაც წამოიწყეს. მუშაობის შედეგად ძველი XVI ს. დროინდელი ეკლესიის აბსიდები და კედლების ნაშთი აღმოაჩინეს.

ასტრახანის მეზეუმის ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა საგანგებოდ მოაწყოს ქვედა სართული, სადაც აღმოჩნდა ძველი ეკლესიის ნაშთები და არის ქართველ მეფეთა საფლავები. გადაწყვეტილია ამასთან დაკავშირებით მოეწყოს სპეციალური გამოფენა — „საქართველო და ქართული კულტურა XVIII საუკუნეში“.

ყოველივე ამის გამო დაისვა საკითხი, რომ გაეხსნათ ვახტანგ მეექვსისა და თეიმურაზ მეორის აკლდამები, მათი ნეშტი ახალ ადგილას (იმავე ტაძარში) გადაეტანთ და გაგრძელებინათ საფლავების სათანადო წარწერები. ყოველივე ამის გამო ასტრახანის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ხელმძღვანელობამ წინადადებით მიმართა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი და ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი ეჭიდონოდ ჩაებნენ ამ საქმეში. ვფიქრობთ, რომ აუცილებელია, აგრეთვე, საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროსა და საქართველოს ძეგლთა დაცვის საზოგადოების მონაწილეობაც.

საქმე ხომ XVIII საუკუნის ქართველ პროგრესულ საზოგადოებრივ მოღვაწეთა და ქართული კულტურის დიდ მესვეურთა ძეგლის აგებასა და რუსი და ქართველი ხალხების მეგობრობის ისტორიული ფაქტის უკვდავყოფას ეხება.

პროფესორი ბ. პაიჭაძე.

საქაქაშვილის გაზეთების ფურცლებზე

რიგორ დავსურეთ კარი უსმაურედ

ეფსნიერები უპასუხებენ ჩაკოსველებს

ჩვენი ინსტიტუტის რომელ კორპუსშიც უნდა მოხვიდეთ, მაშინვე კარების დახურვით გამოწვეული ხმაური ძალიან ეწინააღმდეგებიან. ეს ეხმის ეს ჯანჯარა ხმაურის წინააღმდეგ მებრძოლ კომისიას?

მკითხველის ამ წერილზე პასუხის გაცემა გაზეთ „იზვესტიის“ რედაქციამ სთხოვა ბენების ტიპური და ექსპერიმენტული საპროექტო და სამეცნიერო-საკვლევი ცენტრალური ინსტიტუტის სტანდარტიზაციის განყოფილების ფიზიკრების, კარების და მათი შესაბამისი ხელსაწყოების ლაბორატორიის ხელმძღვანელს, არქიტექტურის კანდიდატს ვ. მუნცს.

სამწუხაროდ შესასვლელი კარის დახურვით გამოწვეული ხმაური ძალიან გავრცელებულია, — თქვა ვ. მუნცმა. — ეი მე ხელთ მაქვს ტექნიკური პირობები, რომლებსაც მშენებლებისათვის კანონის ძალა უნდა ჰქონდეს. მათში შავით თეთრზე წერია, რომ ყველა შესასვლელი კარი უნდა აღიჭურვოს ამორტიზატორებით. ეს არც ისე ძნელი საქმეა. მაგრამ მშენებლები მეგობრობის სრულიად უგულებელყოფენ ამ ტექნიკურ პირობებს, მიმღები კომისიები კი ასეთ დარღვევებზე თვალს ხუჭავენ.

როგორც წესი, ამორტიზატორებს კარებზე ვერ ნახავთ, მაგრამ სამაგიეროდ უხვად შეხვდებით საშუალებებს, რომლებიც დარტყმის ძალას კიდევ უფრო აძლიერებენ. კარი რომ ჩაიდაროდ დაიხუროს, ხშირად მასზე ამაგრებენ რეზინებს, ზამბარებს. ფაქტია, ასეთი კარის გაღება დიდ ძალას მოითხოვს, სამაგიეროდ იგი „ავტომატურად“ იხურება. დარტყმა! — და იფშვნება კარში ჩასმული მინები. კიდევ დარტყმა! — და ზედა სართულის ჭერიდან ბათქაში მოცვივა.

რაოდენ საწყენია, რომ ეს ასე ხდება. ამის თავიდან ასაცილებლად ხომ ბევრი ძალიან უბრალო და მახვილგონიერული ხელსაწყო არსებობს. მაგალითად, ბოროდინის უზამბარო ხელსაწყო. ისიც არის შეტანილი ტექნიკურ პირობებში, მაგრამ ასეთი ხელსაწყოს გაკეთებას არაერის ამირებს. რატომ? ეფიქრობთ, ეს ყველაზე უკეთ სსრ კავშირის საშინ მასალათა მრეწველობის სამინისტრომ იცის.

ყოველივე ამას მინდა დავუმატო კიდევ ერთი რამ: ჩვენს ეკეთესს თამამად შეიძლება ვუწოდოთ დიადი ახალშენებლობა. სულ ოცორი ნაფილი და მოსერხებული ხდება ჩვენი ბინები, წლითიწლობით სულ უფრო მეტი ოჯახი ზეიმობს ახალმოსახლეობას. თანჯარა. ტომელიც არ იღება, მოჯახუნე კარი, კარ-თანჯრებისათვის საჭირო ხელსაწყოების უგულებელყოფა არც თუ იშვიათად არის ახალმოსახლის საზეიმო განწყობის გაფუჭების მიზეზი. ამას სერიოზულად უნდა წაეთქვნენ ის ხელმძღვანელი ამბანაგები. რომლებიც ბესურს აგებენ სამშენებლო წარმოების ხარისხისათვის. კერძოდ, ეს საკითხი ეხება სსრ კავშირის სახმშენს, სამშენებლო სამინისტროებსა ოა ოწყებებს. ამასთან, რა თქმა უნდა, მიტი ინტერესება უნდა გამოიჩინონ მიმღებმა კომისიებმაც, რომლებიც მოვალენი არიან კონტროლი გეოწიონ მშენებელთა შრომას, რათა ისინი ზედმიწევნით იცავდნენ სახელმწიფოო სტანდარტებს და ტექნიკურ პირობებს.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲨᲔᲛᲬᲔᲠᲚᲔᲑᲘ

ᲓᲐᲘᲬᲧᲝ ᲢᲣᲠᲘᲡᲢᲣᲚᲘ ᲡᲔᲖᲝᲜᲘ

ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲝᲑᲘᲡ ᲓᲠᲛᲐ ᲤᲔᲡᲕᲔᲑᲘ

ᲣᲙᲠᲐᲕᲡ ᲡᲐᲑᲐᲕᲨᲕᲝ ᲝᲠᲙᲔᲡᲢᲠᲘ

ᲛᲬᲕᲐᲜᲔ ᲡᲐᲐᲛᲥᲠᲝᲨᲘ

„ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲐ“ № 3

ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲝᲑᲘᲡ ᲓᲠᲛᲐ ᲤᲔᲡᲕᲔᲑᲘ

ᲣᲩᲕᲔᲣᲚᲔᲑᲐᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ

ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘ ᲑᲔᲠᲚᲘᲜᲘᲡ ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲒᲐᲛᲝᲤᲔᲜᲐᲖᲔ

Გ. ᲤᲐ. ᲓᲝᲜᲐᲫᲔ

გ. ფ. დონაძე დაბადებულა 1919 წლის მარტში ... ... ლობის პერსონალური პენსიონერი გენდი ზურაბისძე დონაძე. იგი დაიბადა 1894 წელს სოფელ ერევანში (ორჯონიკიძის რაიონი). ჭაბუკობიდანვე ჩაება რევოლუციურ მოძრაობაში.

1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ გ. დონაძე პეტროგრადში ერთ-ერთი სანაპირო დაცვის გვარდიელთა შტაბის კომენდანტია და აქტიურად მონაწილეობს დროებითი მთავრობის დამხობაში.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ გ. დონაძე 1921 წლის მაისში ბრუნდება სამშობლოში და 1927 წლამდე მუშაობს წითელი არმიის ქართულ ნაწილებში პასუხსაგებ თანამდებობებზე. გ. დონაძე 1927-1941 წლებში სამოქალაქო სამსახურშია. მრავალ ბრძოლაში ნაცადმა სამხედრო კომისარმა დიდ სამამულო ომშიც მოიხადა თავისი მხედრული ვალი.

1946-1959 წლებში გ. დონაძე საქმიანობს სოფლის მეურნეობის დარგში და მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს მის განვითარებაში. მუშაობს საბჭოთა მეურნეობების დირექტორად ბაშკიჩეთში, ელდარში, ახალციხეში, მანგლისში და სხვაგან.

გ. დონაძე დაჯილდოებული იყო ორდენებით, მედლებითა და სატიტიო სიგელებით. მისი ნათელი სხოვნა სამუდამოდ დარჩება მისი მეგობრებისა და ამხანაგების გულში.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრო, საქართველოს სსრ საბჭოთა მეურნეობების სამინისტრო.

ᲙᲘᲗᲮᲕᲔᲑᲘᲡ ᲧᲣᲗᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ᲜᲐᲠᲔᲕᲘ

ᲓᲐᲜᲐᲠᲙᲝᲖᲔᲑᲣᲚᲘ ᲗᲔᲕᲖᲘ

ᲪᲝᲜᲒᲘᲚᲘᲐ: თევზი კარგია, თუ ახალია. მაგრამ როგორ შევინარჩუნოთ იგი ეოცხლად დიდ მანძილზე ტრანსპორტირების დროს? ამ კითხვაზე პასუხს გვთავაზობენ კალინინგრადის სამრეწველო თევზჭირის სპეციალური ექსპერიმენტული საკონსტრუქტორო ბიუროს სპეციალისტები.

ჩვეულებრივ ადასაზიდ ტანკერებში მათ წყალთან ერთად შეაქვთ ანესტეტიკები — ნივთიერებანი, რომლებიც აძინებენ თევზებს, ასეთ შემთხვევაში თევზის მიერ ჟანგბადის შთანთქმა იმდენად მცირდება, რომ თითქმის საჭირო აღარ არის ჰაერის მიწოდება.

ᲫᲕᲔᲚ ᲨᲔᲠᲩᲔᲚᲗᲐ ᲡᲐᲘᲓᲣᲛᲚᲔᲑᲘ

ᲕᲘᲪᲘᲣᲠᲜᲘᲕᲐᲚᲣᲡ ᲮᲔᲝᲑᲐᲨᲘ ახლა აუნაზღაურა შრომა არქეოლოგებს, რომლებმაც მოახდინეს ბიფოთით სავსე მოგზაურობა მალალმთიან დადეტანში. კლდეზე, რომელსაც ის-ის იყო ზვიმამ გადაუარა, მათ თვალს წარმოუდგა მრავალი ნახატი, რომლებიც როგორც შემდგომმა კვლევამ ცხადყო, შექმნილია 5-6 ათასი წლის წინათ. მეცნიერებმა ნახეს ათასზე მეტი გამოსახულება, რომლებიც ქვეყანაში ცნობილი უმრავი ძველი ხელოვნების ძეგლებისაგან განსხვავებით, გაკეთებულია არა საკრეთლით, არამედ წითელი და ყვითელი საღებავით. (ხაკდუნა).

ᲓᲐᲐᲙᲐᲒᲘᲛᲠᲔᲡ ᲙᲝᲜᲒᲠᲐᲒᲐᲜᲓᲚᲘᲡᲯᲔᲑᲘ

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ პოლიციამ ნიუ-იორკის კენედის აეროპორტში დააპატიმრა კონტრაბანდისტები, — ორი ინვალიდი მამაკაცი და კოლუმბიელი ქალი. რომლებიც ცდილობდნენ ამერიკის შეერთებულ შტატებში შეეტანათ 3 კილოგრამი ნარკოტიკი. როგორც პოლიციის წარმომადგენელი იუწყება, მამაკაცებს ჰქონდათ 2 კილოგრამი კოკაინი და მარიხუანა, რომლებიც ფეხის პრატეზებში დაემალათ. ქალს სამაჯო შემოწმების დროს აღმოუჩინეს სამი სპეციალური სარტყელი, რომლებშიც დამალული იყო 1 კილოგრამი კოკაინი. პოლიციის მონაცემებით, კილოგრამი ეს ნარკოტიკები „შავ ბაზარზე“ 500 ათას დოლარად ფასობს.

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ „ᲚᲝᲙᲝᲛᲝᲢᲘᲕᲘᲡ“ ᲡᲢᲐᲓᲘᲝᲜᲘ

(ი. ჭავჭავაძის პრ., 74)

7 აპრილი

ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘ

სსრ კავშირის პირველობა, „ა“ კლასის უმაღლესი ლიგა „ᲖᲐᲠᲘᲐ“ (ვოროშილოვგრადი) — „ᲓᲘᲜᲐᲛᲝ“ (თბილისი), (ძირითადი შემადგენლობანი).

დასაწყისი საღამოს 6 საათზე. ბილეთები წინასწარ გაიყიდება ორგანიზაციებში 5 და 6 აპრილს, აბონემენტებზე—5 და 6 აპრილს, დღის 12-დან საღამოს 7 საათამდე სტადიონის სალარებში, ხარჯთა გაყიდვა — 7 აპრილს, დილის 10 საათიდან.

რედაქტორი
დ. მჭედლიშვილი.

ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲐ

6 Ა�პᲠᲘᲚᲘ

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲗ

11.00 — სკოლების დასახმარებლად — ზოგადი ბიოლოგია (მე-10 კლასელთათვის, ადამიანის გენეტიკა), 11.25 — დოკუმენტური ფილმი „კაბალოვის ქეჩა, № 6“, 12.10 — სკოლების დასახმარებლად — ზოგადი ბიოლოგია (მე-10 კლასელთათვის, ადამიანის გენეტიკა) გამეორებით, 12.35 — მხატვრული ფილმი „აზნაურთა ბუდე“, 16.30 — უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელთა დასახმარებლად — ლექციები მათემატიკაში, 17.15 — ფიზიკაში, 18.00— ახალი ამბები, 18.05 — მოსწავლეთათვის „ვინ უკეთ, ვინ სწრაფად“, 18.45 — „ქართული პოეზიის დღეები მოსკოვში“, 19.30— პოლონური სატელევიზიო მრავალსერიანი მხატვრული ფილმი „მიზანი, რომელიც სიცოცხლეზე მეტია“ (XVIII სერია ქართულ ენაზე), 20.30 — „მოამბე“, საინფორმაციო პროგრამა, 20.50—პრეზიდენტურენცია საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრთან ამხ. ჯ. კეთილაძესთან, 22.00 — „ვრემია“ საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — „თბილისის ცის ქვეშ“, 23.25 — კინონარკვევი, 23.40 — „ფეხბურთი-73“.

ᲛᲔᲝᲠᲔ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲗ

17.15 — სკოლების დასახმარებლად — ფიზიკის გაკვეთილი (რუსული სკოლების მერვეკლასელთათვის. მექანიკური დარტყმა), 18.00 — საზოგადოებათმცოდნეობა (მეათეკლასელთათვის. იდეოლოგიური ბრძოლა თანამედროვე ეტაპზე), 18.45 — ბავშვებისთვის, 19.50 — ბავშვებისთვის, 20.50 — კინოფილმი „ᲩᲕᲔᲜ ᲨᲔᲛᲬᲔᲠᲚᲔᲑᲘ“.

5 ᲐᲞᲠᲘᲚᲘ

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲗ

06.05 — უკანასკნელი ცნობები, 06.35 — ვ. დოლიძე. ნაწყვეტები ოპერა „ქეთო და კოტეფანე“, 08.00 — გაზეთ „პრავდის“ მიმოხილვა (გადმოცემა მოსკოვიდან), 08.30— კამერული მუსიკა, 09.25 — რუსული ბალეტიკური გაზეთების მიმოხილვა, 09.45 — ქართული ხალხური სიმღერები, 10.00 — ცენტრალური გაზეთების ფურცლებზე (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.05 — ე. ობრაზცოვასა და ი. მაზუროკის კონცერტი, 11.30 — უკანასკნელი ცნობები, 11.45 — საუბარი „სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესი და წარმოების მართვის პრობლემები“, 12.10 — უკანასკნელი ცნობები, 12.15 — გ. ცაბაძე, სიმღერები, 12.25 — „პოეზია უპირველეს ყოვლისა“, 12.30 — კ. სენ-სანსი. ინტროდუქცია და რონდო-კაპრიჩიოზი, 12.40 — კომენტარი საერთაშორისო თემაზე, 12.45 — კონცერტი (პროგრამა შეადგინა თბილისის რეზინის ნაწარმის ქარხნის ტექნიკური რეზინის სამკერეოს კომუნისტური შრომის ბრიგადის ბრიგადირმა ე. ბაბაგაშვილმა), 13.15 — ამინდის ბიულეტენი, 13.30 — გაზეთ „პრავდის“ მოწინავე სტატია, 13.40 — ვ. ეოკიელი. სოლისტრო პიესები, 13.50 — მოსწავლეთათვის. გაზეთ „ნორჩი ლენინელის“ ფურცლებზე, 14.00 — კონცერტი რადიომსმენელთა თხოვნით (გადმოცემა მოსკოვიდან), 17.00 — უკანასკნელი ცნობები, 17.15 — ახალგაზრდობის შემოქმედება — ვ. ჯასტელსკი, 17.40 — საბავშვო მწერლების მოთხრობები, 18.00 — უკანასკნელი ცნობები, 18.05 — მღერის საქართველოს ტელევიზიისა და რადიოს ვოკალური ოქტეტი მ. ხატელიშვილის ხელმძღვანელობით, 18.45 — დ. შოსტაკოვიჩი. მეორე სიმფონია. სუიტა, 19.00 — „ხუთწლედს — დამკვრელური შრომა“, 19.15 — ა. შავერზაშვილი. ნაწყვეტები ოპერა „მარინედან“, 19.30 — „ᲣᲙᲐᲜᲐᲡᲙᲜᲔᲚᲘ ᲪᲜᲝᲑᲔᲑᲘ“, 19.45 — ქალთა ვოკალური ტრიოს კონცერტი, 20.20 — „ეს შეიძლებოდა არ მომხდარიყო (გადმოცემა მოსკოვიდან), 20.30 — რადიოჟურნალი „მეცნიერებისა და ტექნიკის სამყაროში“, 21.00 — „ძილისპირული“, 21.10 — რუსული კამერული მუსიკის კონცერტი, 21.45 — „საერთაშორისო დღიური“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.00 — ი. თარბა. „ცნობილი კაცი“. ნაწყვეტი რომანიდან, 22.30 — უკანასკნელი ცნობები, 23.30 — ქართული ხალხური მუსიკა, 23.55 — უკანასკნელი ცნობები.

6 ᲐᲞᲠᲘᲚᲘ

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲗ

11.00 — სკოლების დასახმარებლად — ზოგადი ბიოლოგია (მე-10 კლასელთათვის, ადამიანის გენეტიკა), 11.25 — დოკუმენტური ფილმი „კაბალოვის ქეჩა, № 6“, 12.10 — სკოლების დასახმარებლად — ზოგადი ბიოლოგია (მე-10 კლასელთათვის, ადამიანის გენეტიკა) გამეორებით, 12.35 — მხატვრული ფილმი „აზნაურთა ბუდე“, 16.30 — უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელთა დასახმარებლად — ლექციები მათემატიკაში, 17.15 — ფიზიკაში, 18.00— ახალი ამბები, 18.05 — მოსწავლეთათვის „ვინ უკეთ, ვინ სწრაფად“, 18.45 — „ქართული პოეზიის დღეები მოსკოვში“, 19.30— პოლონური სატელევიზიო მრავალსერიანი მხატვრული ფილმი „მიზანი, რომელიც სიცოცხლეზე მეტია“ (XVIII სერია ქართულ ენაზე), 20.30 — „მოამბე“, საინფორმაციო პროგრამა, 20.50—პრეზიდენტურენცია საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრთან ამხ. ჯ. კეთილაძესთან, 22.00 — „ვრემია“ საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — „თბილისის ცის ქვეშ“, 23.25 — კინონარკვევი, 23.40 — „ფეხბურთი-73“.

ᲛᲔᲝᲠᲔ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲗ

17.15 — სკოლების დასახმარებლად — ფიზიკის გაკვეთილი (რუსული სკოლების მერვეკლასელთათვის. მექანიკური დარტყმა), 18.00 — საზოგადოებათმცოდნეობა (მეათეკლასელთათვის. იდეოლოგიური ბრძოლა თანამედროვე ეტაპზე), 18.45 — ბავშვებისთვის, 19.50 — ბავშვებისთვის, 20.50 — კინოფილმი „ᲩᲕᲔᲜ ᲨᲔᲛᲬᲔᲠᲚᲔᲑᲘ“.

ᲠᲐᲓᲘᲝ

6 ᲐᲞᲠᲘᲚᲘ

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲗ

06.05 — უკანასკნელი ცნობები, 06.35 — ვ. დოლიძე. ნაწყვეტები ოპერა „ქეთო და კოტეფანე“, 08.00 — გაზეთ „პრავდის“ მიმოხილვა (გადმოცემა მოსკოვიდან), 08.30— კამერული მუსიკა, 09.25 — რუსული ბალეტიკური გაზეთების მიმოხილვა, 09.45 — ქართული ხალხური სიმღერები, 10.00 — ცენტრალური გაზეთების ფურცლებზე (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.05 — ე. ობრაზცოვასა და ი. მაზუროკის კონცერტი, 11.30 — უკანასკნელი ცნობები, 11.45 — საუბარი „სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესი და წარმოების მართვის პრობლემები“, 12.10 — უკანასკნელი ცნობები, 12.15 — გ. ცაბაძე, სიმღერები, 12.25 — „პოეზია უპირველეს ყოვლისა“, 12.30 — კ. სენ-სანსი. ინტროდუქცია და რონდო-კაპრიჩიოზი, 12.40 — კომენტარი საერთაშორისო თემაზე, 12.45 — კონცერტი (პროგრამა შეადგინა თბილისის რეზინის ნაწარმის ქარხნის ტექნიკური რეზინის სამკერეოს კომუ